ცალკე ნომერი 3 კაპ.

# ელვა

თფილისი

სამშაბათი, 14 (27) მარტი.

1906

წელიწადი პირველი.

გაზეთი „ელვა“ წლიურათ ღირს 6 მან., თვიურათ 50 კაპ., ცალკე ნომერი 3 კაპ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ. რედაქციასთან მოლაპარაკება უბეჭდავ წერილების შესახებ შეიძლება თორმეტიდან მეორე საათამდე. დაუბეჭდავი წერილები რედაქციაში ინახება 10 დღეს. რედაქცია იმყოფება ველიკოკნიაჟ. ქუჩ., № 17.

№ 2 ყოველ-დღიური გაზეთი. № 2

12 მარტიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ელვა“

„ელვა“ წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარედაც 6 მან., 5 მარტიდან წლის ბოლომდის 5 მან., თვიურათ 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი მეგაზეთეებთან 3 კაპ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშვადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.

ხელის მოწერა მიიღება:

**თფილისში**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, ქუჩუკაშვილთან. ... ლოდევის უფასო სამკითხველოში მარიამ ელიავასთან. ვაგზალზე 1 კლასის ბუფეტში შალვა პანტურიშვილთან და თვით რედაქციაში—ველიკოკნიაჟესკ. ქუჩაზე, № 17.

**ქუთაისში**

ჟურნალ-გაზეთების კანტორა „კოლხიდაში“, აქვე იყიდება ნომრობითაც.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЕЛВА“.

## ვინ არის მართალი?

—

...ყველაფერი კარგათ იქნებოდა, არც ხოცვა-ჟლეტას, არც გადაწვა-განადგურებას ადგილი არ ექნებოდა, რომ პროლეტრიატი ...ურესობას არ გაეტაცა, შეიარაღებული აჯანყება არ გამოეწვია, ბურჟუა-ლიბერალებისათვის დაეჯერებია და იმათი ...ობით ემოქმედნა. ასე მსჯელობენ ... ბურჟუა-დემოკრატები. თუ ამათ დავუჯეროთ, რუსეთის პროლეტარიატს უკანასკნელ ამბების დროს მეტათ დიდი დანაშაული ჩაუდენია: მას გამოუწვევია შეიარაღებული აჯანყება მთავრობის წინაამდეგ, ...რაც უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა და გადაწვა-განადგურება მოყოლია! ამაზე მეტი დანაშაული შეუძლებელია! და თუ ეს მართალია, იმ შემთხვევაში პროლეტარიატი ღირსი არ არის იმ დიდებული როლის, რომლის შესრულება მას ისტორიამ არგუნა. ჩვენ არ უნდა ვილაპარაკოთ მიდგომით, ჩვენ არ უნდა დავფაროთ არც მისი ნაკლი და არც მისი ღვაწლი გავაზვიადოთ. მიუდგომელი ისტორია გვეტყვის, თუ ვინ ემსახურებოდა და ემსახურება თავიდან ბოლომდე თავისუფლების და ჭეშმარიტების საქმეს, და თუ ვინ ღალატობდა და ღალატობს მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე. პროლეტარიატი თუ ბურჟუაზია? ვინ გამოიწვია შეიარაღებული აჯანყება? ვინ მოაწყო ხელი ...ქციას? ვინ მართავდა ... მოლაპარაკებას შეთანხმების თაობაზე? ვინ ამოუდგა ...ლოს მთავრობას გვერდში? ვინ მართავს დღეს ლეგალურათ კრებებს, ვინ ბეჭდავს თავის გამოცემებს პარტიული სახელით? ვინ ადგენს პარტიებს ლეგალურათ? განა ყველა ესენი ბურჟუაზიული პარტიები არ არიან? და მერე როგორ მოიპოვეს იმათ ...ის უფლება? ან შეიძლება ამ მცირე უფლების მოპოვებისათვისაც არავითარი ბრძოლა, არავითარი მსხვერპლის შეწირვა არ ყოფილა საჭირო? და მერე არ იკითხავ, თუ ვინ იბრძოდა და იბრძვის ყველა ამისთვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე?

ბურჟუა-ლიბერალებს სიყალბის ჩადენა, ისტორიის გადამახინჯება არასოდეს არ ეთაკილებოდა, მაგრამ დღევანდელი მოძრაობა ისე ნათლათ უდგას ყველას თვალწინ, რომ იმის გადამახინჯებას ისინი დღეს ველარ მოახერხებენ, რამდენიც უნდა ეცადონ. პროლეტარიატის დანაშაული მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყოველთვის შეურყეველათ მიდიოდა წინ, იგი უარყოფდა კომპრომისებს როგორც მთავრობასთან, ისე ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან; იგი არ კმაყოფილდებოდა დაპირებებით, არ ... მაღლიდან ბოძებული „თავისუფლება“. მთავრობა კარგათ ხედავდა, ვისი დატყვევება შეიძლებოდა, და ვისი არა, ვისთან შეეძლო მას ზავის შეკვრა, და ვისთან არა. მაგრამ იმავე დროს იგი კარგათ ხედავდა იმასაც, თუ ვინ წარმოადგენდა სერიოზულ ძალას რევოლუციისათვის, ვინ იყო მისთვის საშიშარი მტერი, ვის შეეძლო მისი დამარცხება. ეს იყო პროლეტარიატი. რასაკვირველია, პროლეტარიატის ძალა და მნიშვნელობა თოფ-ზარბაზნებში და ტყვია-წამალში არ იყო, — ეს ყველამ კარგათ იცოდა, და ყველაზე უწინ, რა თქმა უნდა თვით მთავრობამ. პროლეტარიატის ძალა სულ სხვა ...ში იყო, მისი საბრძოლველი იარაღი სულ სხვა იყო. ეს იყო საერთო გაფიცვა, მუშაობის ალკვეთა ყოველგან, სადაც კი პროლეტარიატს ხელი მიუწვდებოდა. ასეთი გაფიცვა არღვევს სახელმწიფოს მექანიზმს, იგი უკარგავს სიცოცხლეს არსებულ წესწყობილებას. აი რა იყო მთავრობისათვის საშიში და თავზარდამცემი, აი საიდან მოელოდა დამარცხებას. ბურჟუაზიულ დემოკრატიის წარმომადგენელებს უკვირდათ, როცა ისინი მთავრობას ასეთ გაჭირვების დროს დახმარებას პირდებოდენ, და მთავრობა კი იმათ დახმარებას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა, გაიხსენეთ 17 ოქტომბერს შემდეგ ვიტესთან გაგზავნილი დეპუტატები, ასე წარმოიდგინეთ თვით პ. სტრუვემაც კი ინახულა გრაფი ვიტე მის კაბინეტში. ბურჟუა-დემოკრატებს ეგონათ, რომ რაკი ისინი მთავრობას დახმარებას გაუწევენ, მთავრობა იმათ წინაშე ქედს მოიხრის და ყველა სამინისტრო პორტფელებს იმათ ჩააბარებსო. მაგრამ მთავრობა განზე იდგა და თითქო არც ყურობდა იმათ სიტყვებს. მთავრობა კარგათ ხედავდა, რომ ბურჟუა-დემოკრატები თავის თავათ სულ ერთია მაინც არაფერს წარმოადგენდენ. ამიტომ იმათ დახმარებას მთავრობისათვის არავითარი რეალური მნიშვნელობა არ ქონდა. სულ სხვა იქნებოდა, რომ ბურჟუაზიული დემოკრატიის წარმომადგენლებს მუშებზე ქონოდათ გავლენა, მაშინ შესაძლებელია მთავრობაც იმათ დაპირებას უფრო გულმოდგინეთ მოქცეოდა. და აი ბურჟუა-დემოკრატებს გული დაწყდათ, რომ პროლეტარიატმა ისინი თავის მეთაურებათ არ გამოაცხადეს და „მთელი თავისი ძალღონით არ მოინდომეს იმათი გამაგრება“. აი რას ამბობს ერთი იმათგანი:

„ვის ხელში შეიძლებოდა უფლების გადაცემა? ვიტყვი პირდაპირ: **მხოლოთ ერობის მოღვაწეთა და მესამე ელემენტის ხელში**, ვინც წინეთ „განთავისუფლების კავშირს“ შეადგენდენ და ახლა კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის სახელით მოქმედებდენ“... „პროლეტარიატს უნდა შეეგნო საქმის მდგომარეობა... და ამიტომ მთელი თავისი **ძალღონით უნდა გაემაგრებია ის ჯგუფები, რომლის ხელშიაც სახელმწიფო უფლება გადავა**. სამაგიეროთ პროლეტარიატი სხვა და სხვა გარანტიებს მიიღებდა“ *).

ასე სწერს ბ-ნი იზგოევი პეტრე სტრუვეს ორგანოში.

ბურჟუა-დემოკრატებს რომ საზოგადოთ კარგი მადა აქვთ, რომ იმათ დიდი ხანია სწადიათ სახელმწიფო მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება, ეს ჩვენ კარგათ ვიცით, მაგრამ არასოდეს იმათ ასე აშკარათ არ გამოუთქვამთ თავისი განზრახვა და გულის წადილი. ახლა კი გვესმის, თუ რისთვის არიან ისინი დღეს უკმაყოფილო, რისთვის უკიჟინებენ პროლეტარიატს, რისთვის უარყოფენ და კიცხავენ მის ტაქტიკას. თუ რომ ჩვენი ბურჟუა-დემოკრატები პროლეტარიატის მიერ გამაგრებული ყოფილიყვნენ, მაშინ უეჭველათ ვიტე თავის კაბინეთში იმათ მოიწვევდა მინისტრებათ. მაგრამ პროლეტარიატმა ჩვენ ბურჟუა-ლიბერალებს ამაში მხარი არ დაუჭირა და ისინი შერცხვენილი დარჩნენ. მაგრამ საიდან მოუვიდათ თავში ამ ვაჟბატონებს, რომ პროლეტარიატი, რომელიც თავიდანვე დამოუკიდებლათ ეწეოდა ბრძოლას ბიუროკრატიასთან, ახლა ამ დამოუკიდებლობაზე უარს იტყოდა და ბურჟუაზიულ დემოკრატიის მაჩანჩალა გახდებოდა. ამ ვაჟბატონებმა ის კი არ იკმარეს, რომ მთავრობასთან შეთანხმება მოინდომეს, ამათ პროლეტარიატის მეთაურობაც მოუნდომებიათ, და რადგანაც არც ერთმა არ იკისრა მათთან კავშირის დაჭერა, გამწყრალან და ილანძღებიან. პროლეტარიატს ლანძღვენ ისინი იმიტომ, რომ იმის მაგიერათ, რომ იმას ბურჟუა-დემოკრატების პარტია გაემაგრებია, ვითომც შეიარაღებული აჯანყება გამოიწვია, რამაც გამოიწვია მთავრობის რეაქცია და იმ მცირე თავისუფლების შებოჭვაც, რაც მთავრობამ 17 ოქტომბრის აქტით ხალხს დაუთმო. მაგრამ ან სულ ბრიყვი უნდა იყოს ადამიანი და იგი განზრახ თვალს იბრმავებდეს, რომ დეკემბრის აჯანყებაში პროლეტარიატს დასდოს ბრალი. ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ეს აჯანყება თვით მთავრობამ გამოიწვია და შეიარაღებული თვითონ მთავრობა იყო და არა პროლეტარიატი. ვიტე-დურნოვოს მთავრობამ კარგათ იცოდა, რომ პროლეტარიატს იარაღი არ ქონდა, და ამიტომ მისი დამარცხება ადვილი იქნებოდა, თუ მას საბრძოლველათ გამოიწვევდა. და ასეთი განზრახვა მან კიდევაც მოიყვანა სისრულეში. ვინც პროლეტარიატს შეიარაღებულ აჯანყების მოხდენას აბრალებს, მან არ იცის სინამდვილე, ან განზრახ ტყუის. პროლეტარიატი მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ თავისუფლების უზრუნველყოფისათვის საჭიროა იარაღიო. აქედან აშკარაა, თუ რამდენათ სამართლიანია ჩვენი ბურჟუა-დემოკრატების ბრალდება.

*) იხ. „იე.“ № 2.

# ახალი ამბები

—

**თფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებანი**. ადგილობრივ გაზეთების ქრონიკებში, რაიმე ამბის აღნიშვნის დროს ასახელებენ პოლიციელებს, რომელთაც ასეთი თუ ისეთი დამნაშავენი აღმოაჩინეს.

დღევანდელ გარემოების მიხედვით ეს მიმაჩნია არა სასურველათ და ამიტომ წინადადებას ვაძლევ თფილისის გაზეთების რედაქტორებს ასეთი ცნობები არ დაბეჭდონ.

ამასთანავე ვთხოვ რედაქციებს, ცოტა მეტი სიფრთხილით მოეპყრან თანამშრომლების მიერ მიწოდებულ ცნობებს, ვინაიდან ხშირათ ეს ცნობები სინამდვილეს ეწინაამდეგებიან.

◆ ვასილ სემიონოვის საკანდიტეროს **მოსამსახურეთა ერთი ნაწილი გაიფიცა** ერთი მათი ამხანაგის გაგდებისთვის და დანარჩენებიც აიძულა მუშაობაზე ხელი აეღოთ, ამიტომ ამ გაფიცვის მოთავენი — სეიდ გორგასლიძე, თომა ტერძიევი, ნიკო და კირილე ვადაჭკორია და პავლე კონჯიაძე თფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დატუსაღებულ არიან და პირველივე ეტაპით იგზავნებიან ტობოლის გუბერნიაში.

ასევე მოექცევიან დანარჩენ ექვს მეთაურსაც, რომლებიც დაიმალენ და პოლიცია დაეძებს.

◆ ვერის ხიდის მოიჯარადრე ეგანოვმა ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანა, რომელშიაც ამტკიცებს, რომ რადგან **სახელმწიფო ეტლებს** უფასოთ გასვლის ნება აქვს ხიდზე, ამით სარგებლობენ ოფიცრები და კარის-კაცნი, არ იძლევიან შესაფერ გადასახადს და ეს კი იჯარის მოგებას სწევსო. ამიტომ ეგანოვი ითხოულობს, რომ ქალაქის გამგეობამ ამ საგნის შესახებ შესაფერი ზომები მიიღოს და შეატყობინოს სხვადასხვა დაწესებულებებს.

◆ კვირას, 12 მარტს, დილის თერთმეტ საათზე **მეტეხის ციხეში** მოიყვანეს თორმეტამდე კაცი. ამათ შორის სამი მღვდელია. დაჭერილები, როგორც გადმოგვცეს, ქართლიდან ჩამოუყვანიათ.

◆ შაბათს, 11 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე თფილისის მიხეილის საავადმყოფო **გაჩხრიკეს** ჯარმა და ოფიცრებმა. გაჩხრიკეს აგრეთვე საავადმყოფოსთან არსებული ფერშლების სკოლა, დოქტორ როზენბაუმის ბინა და სხვ. როზენბაუმის სახლში ერთი თოფი იპოვნეს როზენბაუმის შვილისა და თან წაიღეს. საავადმყოფოს მოსამსახურეს უპოვნეს რამდენიმე პატრონი და რევოლვერი. მოსამსახურე დაიჭირეს, მაგრამ შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს.

◆ 6 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, **ექიმ ჩიქოვანთან** მისულა დავით დავითის ძე დარახველიძე და უთხოვია შვილი მიკვლება და წამომყევიო. როცა ექიმს გამოუკითხავს სახელი და გვარი, უთქვამს: „როცა შენ ერთი წლის წინეთ დედა გყავდა ავათ, ხუთჯერ მოვედი შენთან და ერთი „ვიზიტის“ ფული დღესაც შენზეა. თუ მომიტან ამ ერთი „ვიზიტის“ ფულს წამოგყვები, თუ არა და არაო. გამწარებულმა მამამ არ იცოდა რა ექნა, შვილი ფილტვების ანთებით უკვდებოდა და ყოველივე წუთი მისთვის ძვირფასი იყო. ის გიჟივით გამოვარდა გარეთ და გაიქცა ექიმ გადურინთან, რომელიც მაშინვე გაჰყვა მას.

◆ ჩვენ გავიგეთ, რომ თფილისის მაზრაში **მეოთხე საპოლიციო ნაწილს** აარსებენ თფილისის მახლობლათ, რომელსაც „პრიგოროდნი უჩასტოკ“ დაერქმევა. ამ უბნის ბოქაულათ ილია ინალიშვილს ნიშნავენ.

◆ შაბათს ღამით ს. ზემო-ავჭალაში ადგილობრივ მცხოვრებ მირზოევს **თავს დაესხმია** რამდენიმე შეიარაღებული კაცი. მირზოევისთვის წაურთმევიათ ფულათ 20 მან. და ერთი რევოლვერი.

◆ ს. ტაბახმელაში ფოსტის **გაძარცვის დროს მოკლული**, როგორც მასთან ნაპოვნ საბუთებიდან აღმოჩნდა გვარათ ვაშაკიძე ყოფილა.

◆ 9 მარტს ღამით საქონლის მატარებელს № 157, როცა იგი კასპიდან ქარელში მიემგზავრებოდა თავს დაესხნენ ამ მატარებლის ობერ-კონდუქტორს ევთიმე ნემსაძეს და **დასჭრეს**. როგორც თვით ნემსაძე ფიქრობს, ის იმიტომ დაუჭრიათ, რომ გაფიცვებში მონაწილეობა არ მიუღია.

◆ **სად. ბელაგორში** 11 მარტს სადგურის ჟანდარმს დაუტუსაღებია კოლია და ვასო კიკნაძეები, რომლებიც ამავე დღეს მატარებლით გაუგზავნია ქუთაისის საპყრობილეში. ტუსაღებს გაყოლიან ერევნის პოლკის სალდათები და იგივე ჟანდარმი. ამათ მოუთხოვია მათგან მითხარით ვინ არის თქვენში მილიციონერიო. ტუსაღებმა რაც არ იცოდენ, რას ეტყოდენ. ამის გამო მათთვის საშინლათ უცემნიათ ცხვირპირში თოფის დუმით და იმ ზომამდე მიუყვანიათ საბრალოები, რომ შეხვეწიან ბარემ მოგვკალითო.

◆ **ახალსენაკიდან** გვწერენ, რომ მომრიგებელი შუამავალი ვ. ჩიქოვანი სამსახურიდან გადაუყენებიათ, რადგან მონაწილეობას იღებდა მიტინგებში.

◆ **ბათუმიდან** გვწერენ, რომ იქ ... მუშაობა დაუწყია სიტერედესის ქარხანას. მოელიან მანთაშევის, როტშილდის და ხაჩატურიანცის ქარხნების გახსნასაც.

◆ **მღვდელი ალექსანდრე კასრაძე** ორი თვე გორის ციხეში იჯდა. ამ რამდენიმე ხნის წინეთ პროკურორმა გამოუცხადა, თავისუფალი ხარო, ამის მიუხედავათ ის მეტეხის ციხეში გადმოიყვანეს და ამ დღეებში, როგორც გადმოგვცეს, არხანგელის გუბერნიაში ასახლებენ.

◆ 12 მარტს ღამით თფილისში **მოჰკლეს კაზაკთა უფროსი ურიადნიკი** ტკაჩოვი, პოლტავის პოლკისა. მკვლელობა მომხდარა ღამის 12 საათზე რუსის ქუჩაზე, სომეხთა სასულიერო სემინარიის წინ, ტკაჩოვს ხანჯლის მძიმე ჭრილობა აღმოაჩნდა მუცელში და თითებიც დასერილი ჰქონდა. ვეშინ დილით კონსტიტუტორიის ქუჩაზე პოტებნის სახლის მახლობლათ ნახეს მოკლულ კაზაკის ხანჯალი და ქუდი. მოკვლის მიზეზი არ იციან.

◆ როგორც გადმოგვცეს, **ნავთლუღ-ავლაბრის ტრამვაი** ერთი თვის განმავლობაში დაიწყებს მუშაობას.

◆ იგივე გაზეთი გადმოგვცემს, რადგან ხმებია, თითქო **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვა** უნდა მოხდეს ფოსტა-ტელეგრაფის უმაღლესმა გამგეობამ გამოუცხადა ყველა მოხელეთ, რომ ტელეგრაფით რაიმე კერძო წერილების გადაცემა ამიერიდან აღკრძალულია. ის მოხელენი რომელთა მორიგეობის დროს ეს განცხადება დაირღვევა, კანონით დაისჯება.

◆ ჩვენ გავიგეთ, თითქოს ადგილობრივ **პატრიოტულ პარტიის ორგანიზაცია დაშლილა** და ყველა მისი წევრი „17 ოქტომბრის კავშირში გადასულა“, გარდა მათის ლიდერის მ. გოროდცევისა. რამდენათ მართალია ეს ხმები არ ვიცით.

◆ **სახელოსნო სკოლის მოსწავლეებმა** ქალაქის თავს თხოვნა წარუდგინეს, რომელშიაც სხვათა შორის მოხსენებულია: მიეცეთ მოსწავლეებს აბანოში ფული საპირფარეშოთ, შორეულ ადგილებში მცხოვრებ მოსწავლეთ, რომელნიც სიშორის გამო დღესასწაულებზე სახლებში ვერ წავლენ — მიეცეთ სასწავლებელთანვე უფასო სასადილო. საექსკურსიოთ იგზავნებოდენ, მოსწავლეები სხვადასხვა ადგილებში, როგორც წინეთ იყო.

◆ როგორც გაზ. „ნაშ. ჟიზნ.“ გადმოგვცემს, მინისტრ დურნოვოს ტელეგრაფით უცნობებია ყველა გუბერნატორებისათვის: რადგან ბეჯითი ხმებია, რომ გაზაფხულზე აგრარული მოძრაობა დაიწყება, ყოველი ღონე იღონეთ, რომ საერობო **დარაჯების რაზმები** გააძლიეროთო. საერობო დარაჯების რაზმები მოძრაობის ჩაქრობის საქმეში ჯარს მიეშველებიან.

◆ სიონერერო სამმართველოს წინადადებაზე, რომ **ჯარის კაცთა** სხვა და სხვა ადგილებში **გასაგზანი ფული** ქალაქის გამგეობას დაეკისროს, გამგეობამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას, რომ ქალაქი განთავისუფლდეს ხარჯისაგან და აგრეთვე დაუბრუნდეს მას ის ფულები, რომელიც ჯარის კაცთა გასაგზავნათ წინათ დახარჯა.

◆ როგორც გადმოგვცეს, პოლკოვნიკ **კრილოვს ბრძანება გაუცია** ჩოხატაურში მცხოვრებთა შორის 1000 მანათი შეაგროვონ პატარა ეკლესიის ასაშენებლათ „წესიერების აღდგენის სახსოვრათ“.

◆ როგორც გადმოგვცეს, ქართლის იმ მღვდლებს, რომელნიც ციხიდან გაანთავისუფლეს იანვრისა და თებერვლის **ჯამაგირს არ აძლევენ**; მათი საქმე განსახილველათ უმაღლესი სასულიერო მთავრობისთვის გადაუციათ.

◆ ტრამვაის უფროსის განცხადებით, მუშტაიდიდან დიდუბისაკენ **ტრამვაი** მალე დაიწყებს მოძრაობას.

◆ ავლაბრის თეატრში, კვირას, 12 მარტს ქართულ-სომხურ სცენის მოყვარეთა ამხანაგობამ გახსნა თავის **წარმოდგენების სეზონი** სომხურიდან გადმოკეთებულ სამმოქმედებიან დრამის „სიმდიდრის მსხვერპლის“ დადგმით. დრამა აწინდელი ცხოვრებიდანაა ამოღებული, ნიჭიერათ დაწერილი და სწორეთ შეეფარდება დროსა და გარემოებას. შინაარსი მუშა-ხალხს მეტათ მოხვდა გულზე და დიდათ დააინტერესა.

◆ ითარგმნება კ. კაუცკის ბროშიურ „ამხანაგობანი“.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მგზავრები დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ, იმ საშინელი სივიწროვის გამო, რომელიც სამგზავრო მატარებლებშია ხოლმე თითქმის ყოველთვის.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა შუამდგომლობა აღიძრას, რომ უბნის იმ რწმუნებულთ, რომელნიც მეეზოვეთ თვალყურს ადევნებენ, რევოლვერის ტარების ნება ჰქონდეთ.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი დაბეჭდილი წიგნაკი: „საითკენ მიდის საზოგადოების განვითარება“ — ნ. ვერნერისა, თარგმანი ს. ირემაშვილისა. წიგნი კარგათ არის დაბეჭდილი შეიცავს 24 გვერდს და ღირს 5 კაპ.

## კავკასია.

—

**ბაქოდან** გვატყობინებენ, რომ იქ ამას წინათ ტექნიკურ სასწავლებლის მოსწავლეთათვის წინადადება მიუცია ბაქოს გენერალ-გუბერნატორს — სასწავლებლის დირექტორი დაითხოვნილია და უფლება გაქვთ სასწავლებელში მეცადინეობა

დაიწყოთ. მოსწავლეები შეურიდან სასწავლებლის შენობაში. ამ დროს შესობას კაზაკები დასევია და მათრახებით მოსწავლეები დაუფანტავს. ბაქოს ზოგიერთ სხვა სასწავლებლის მოსწავლეებს რომ შეუტყვიათ, ერთგან შეურიდან ტეხნიკურ სასწავლებლის მოსწავლეებზე ერთმანეთში მოსალაპარაკებლათ, მაგრამ პოლიციას იქაც მოსწავლეები დაუფანტავს.

**ს. ერთაწმინდიდან** (გორის მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ ახალქალაქიდან 12-მდე კაზაკს შეკრებილ გლეხებისთვის წაუკითხნიათ სია ზოგიერთ პირთა. სხვათა შორის მოუთხოვიათ ილიკო იმედაშვილი და კაკა ხუციაშვილი. ესენიც იქავე ყოფილან. კაზაკები მივარდნილან და იმდენი უცემია, სანამ ორივე უგრძნობლათ არ დაეცენ. შემდეგ მოუთხოვიათ ხალხისთვის გვიჩვენეთ წითელი რაზმელები სად წავიდნო. ხალხს უპასუხნია—არ ვიცითო. ჯერ-ჯერობით ამით გათავებულა საქმე.

იქიდანვე გვატყობინებენ, რომ იქ ამას წინათ ჩასულა ბოქაული ყარალაშვილი რამდენიმე საერობო დარაჯით და კაზაკებით და მცხოვრებთათვის დაუნიშნავთ გადასახადების გადახდის ვადა. ყარალაშვილს უთქვამს: ამა და ამ დროს ამოვალ და გადასახადების კვიტანციები თუ არ დამხვდებიათ,—სახაზინო ვაჭრობას დავნიშნავ და ყველაფერს გაგიყიდითო. მცხოვრებით შეუსრულებიათ ბოქაულის ბრძანება და მოკლე ხანში დიდი გაჭირვებით, თუ რამე გააჩნდათ, გაუყიდიათ. მეორეჯერ ბ-ნ ბოქაულს მღვდელიც დაუბარებია და მიუხედავათ იმისა, რომ ამ უკანასკნელს უთქვამს—სრულიადაც არა მსურს უმისოთაც დაჩაგრულ და გაღატაკებულ გლეხებს კიდევ გასაჭირი მივაყენოო, მაინც განკარგულება მიუხდენია მცხოვრებლებმა მაინც გადაუხადონ ხვედრი გადასახადიო.

**რაჭა.** რაჭაც არ ჩამორჩენია სხვა ადგილებს მოძრაობაში. ამიტომ ის ღვთის წყალობა, რომელიც გურია-იმერეთს და ქართლს მოევლინა, რაჭა-ლეჩხუმსაც ეწვია.

ლეჩხუმის მაზრაში სოფ. ფოშხაში დასწვეს რამდენიმე გლეხი, აგრეთვე რაჭაში სოფ. ხვანჭკარაში გადაბუგეს 46 გლეხი. ხვანჭკარაში ერთი გლეხისას შეტაკება მოხდა კაზაკებსა და სახლში მყოფ მ.მა-შვილებს შორის ქალების გაუპატიურების გამო. ამ შეტაკების დროს მოკლეს ორი ძმა სარდანაშვილი. ასეთი დარბევის პირდაპირი მიზეზი ის იყო, რომ ამას წინათ აქ მოკლეს ერთი ადგილობრივი მაწანწალა გარყვნილი თავადიშვილი. ეს ის ვაჟბატონები იყვნენ, რომლების ერთი დანახვა გლეხებს შიშის ზარს სცემდა, ვაი თუ მთვრალი იყვნენ და გვცემონ, ან იქნებ კიდეც მოგვკლანო. ერთმა მოკლულ თავადთაგანმა უკვე ერთი გლეხი გამოასალმა წუთისოფელს საკუთარ მამულში, რისთვისაც სამუდამო ციმბირი ქონდა გადაწყვეტილი.

როგორც კი გენერალი გავრილოვი ლეჩხუმას საზღვარზე ჭრებალოს მივიდა, იმ წუთშივე მისცეს ცეცხლსა და ზარბაზანს ტოლა-ხვანჭკარა.

გენერალი ალიხანოვი ამ დღეებში ჩასულა დ. ახალ-სენაკში, დაუბარებია სენაკისა და მახლობელ სოფლის მცხოვრებნი და გადაუცია თავისი გადაწყვეტილება—თუ ამ სამ დღეში არ წარმოგიდგენიათ ყოველნაირი გადასახადი—ქვას ქვაზე აღარ დავტოვებო. ხალხიდან რამდენიმეს მოუნდომებია რაღაცის თქმა, მაგრამ ალიხანოვს ყველა გაუგდია. ამის შემდეგ ალიხანოვი ზუგდიდისკენ წასულა. სენაკში გულის ტრიალით მოელიან ალიხანოვის დაბრუნებას გადასახადების ასაღებათ.

**შამშადინიდან** გვწერენ: დეკემბრის 23-ში თათართა ბრბო [illegible] ქოსალარს და მოსეს სოფლებს. გამოირკვა, რომ ამ ბრძოლაში თათრებთან ერთათ, მონაწილეობა მიიღეს კაზაკებსაც, რომელთაგანაც ორი მოკლულ იქმნა ბრძოლაში, [illegible] ან იცვა, სომეხის თუ თათრების ტყვიით. [illegible] კაზაკების მოკვლის გამო ლევიცკის შეუწერიათ [illegible] ცხრა ათასი მან. ჯარიმა მოუწერია, [illegible] ვადა მიცემულია 15 მარტამდე, რის შემდეგ უუმბარების დაშენას დაემუქრა 7 სომხის სოფელს. ამავე დროს მოხსენებულ სოფლებს დახოცილ კაზაკთა გვამები მოსთხოვა. სოფლები საშინელ მდგომარეობაში არიან, რადგან არ იციან ვინ დამალა გვამები.

ძალიან სისწრაფით და სისასტიკით აიღეს სახელმწიფო ხარჯები. ბ-ნი ლევიცკი ყოველ კაზაკს, რომელიც ხანჯალ-დამბაჩას აღმოაჩენს სადმე, აჯილდოვებს ასი მანეთით. ამ მოკლე ხანში სოფ. თათლუს გადაახდევინეს ხუთასი მანეთი ჯარიმა ერთი ჩახმახიანი თოფის გამო, სოფ. ღულა და მოსესაც ხუთასი მანეთი ჯარიმა ორი ხანჯლისათვის. („მშაკ")

**ბაქო.** „ცს. ფ."-ს ბაქოდან ატყობინებენ 4 მარტს პატრიოტულ პარტიის „ი კორ"-ის წევრმა მ.რტიანოვმა მოჰკლა სლესარი სემიონოვი, სოციალდემოკრატიულ პარტიის უმრავლესობის ფრაქციის წევრი. მარტიანოვმა ოთხჯერ ესროლა რევოლვერი. მიზეზი პოლიტიკურ შეხედულებათა უთანხმოება იყო. მარტიანოვი რამდენჯერმე ცდილა, სემიანოვი გადაებირებინა და პატრიოტთა პარტიაში შეეყვანა, უკანასკნელ ლაპარაკის დროს მარტიანოვმა კიდევ თხოვა, გადმოდიო. სემიანოვმა „ხულიგანი" დაუძახა, ამან ისე გააბრაზა „პატრიოტი", რომ თავისი ნაცნობი იქვე წუთისოფელს გამოასალმა.

**ბათუმი.** აქ გემით მოვიდა 10 მარტს კავკასიის პოლიციის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი შირინკინი, რომელიც როგორც გავიგეთ, პეტერბურგში იყო მოხსენებისთვის.

ქალაქში ხმა დადის, რომ 13 მარტიდან მანთაშევის პირველი ზავოდი მუშაობას დაიწყებსო.

ბათუმში დაუჭერიათ პირველ საპოლიციო უბნის ყოფილი ზედამხედველი ი. გოგიტიძე.

9 მარტს თფილისიდან ბათუმში ჩამოიყვანეს 25 პოლიტიკური, რომლებიც აქაურ ციხეში გაგზავნეს. (ნ. ვ.)

**სამეგრელო.** 10 მარტს ალიხანოვ-ავარსკი თავისი აუარებელი ამალით, (500 ქვეითა და 100 ცხენოსანი ჯარისკაცით მათი ოფიცრებითურთ) შემოვსულა აღმოსავლეთიდან. ხონიდან გაემართა ნაოდალევს, აქედან ბანძაში გაიარა, გავიდა ნაქალაქევი ძველი სენაკი და ეწვია ახალ-სენაკელებს, აქედან კი ზუგდიდისკენ გაემგზავრა. ადვილი წარმოსადგენია მკითხველო თუ როგორ შიშის ზარს დასცემდა მცხოვრებლებს ასეთი მგზავრობა. ალიხანოვი ყოველგან თავისი აუარებელი მოთხოვნებს უდგენს ხალხს. იქ, სადაც ხალხს თავისი მტერი მოღალატე ყავდა დასჯილი, მცხოვრებლებს საშინლათ აჯარიმებს. სულ რამოდენიმე ათი-ათას მანათამდე ადის ჯარიმა მთელ სამეგრელოში, გარდა იმისა, რასაც ჩვენ კეთილშობილი თ-დი ითხოვს გლეხებისაგან ზარალს ასანაზღაურებლათ. ყოველგან ჯარისკაცები და განსაკუთრებით კაზაკები ჩვეულებრივათ მოქმედებენ. მოთმინების ფიალა ევსება საწყალ გლეხს და მზათ არის გულში ჩაკლული რისხვა პირველ დაძახებაზედვე აფეთქოს.

ჯამაგირს არა უმატებენ, მაგრამ ეს საქმეს არა უშველის-რა იგი უმეტეს ნაწილათ გამომდინარეობს მათ კეთილშობილებათგან. მათი მონაწილეობით, სხ ათა შორის 7 მარტს ს. აბაშაში ღამით პოლიციელები თავს დაეცნენ ქალაქად ნამყოფ აქაურ მუშებს რამდენიმე ოჯახს, თუმცა ვერაფერი კი ვერ იპოვეს.

მიუხედავათ ყველა ამ საშინელებათა, ხალხი კიდევ სულით დაცემული არ არის. და ისევ წელს იმაგრებს. მიწას არავინ ხელს არ კიდებს, რადგანაც ვერ მორიგდნენ. მემამულეები კი თავისას არ იშლიან, რადგანაც გონიათ მოედანი მათ დარჩათ.

აბაშაში ამ დღეებში მამასახლისმა ყრილობა მოახდინა, სადაც ხალხს წინადადება მისცა აერჩიათ საქმის საწარმოებლათ (მართვლათ) ათის თავები, რომლებსაც გუბერნატორი დაამტკიცებსო, მაგრამ ხალხმა თავი მოარიდა ამ საქმეს, როგორც ს.ზიზღარ პროვოკაციას.

ვანო ხორავა

**ბაქოდან** გვწერენ. მოახლოვდა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, გამოქვეყნდა დრო, როცა მოწვეულ უნდა იქნას „დუმა" და აი ჩვენი ქალაქიც შეუდგა თადარიგს. მართალია საზოგადოებას და ხალხს დიდი გატაცება და ფაციფუცი არ ემჩნევა, მაგრამ საერთო ყურადღება რომ უფრო ამ კითხვამ მიიპყრო, ეს აშკარაა. ყველა შეუდგა მზადებას. შეუდგა მზადებას ბურჟუაზიაც. ქალაქის გამგეობა ამრჩეველთა სიას ადგენს. ჯარი და პოლიცია დიდი გულისყურით ეკიდება ამ მზადებას, პროფესიონალურ ჯამაგირებს აღდგომა დაუდგათ, უხარიათ, რადაც დღეში ათჯერ იცვლიან ტანისამოსს: ხან ჟოკლეა, ხან პრაპორშჩიკი, ხან მაზუთში ამოგლანგლილი მუშა, ხან ვაჭარი ან უბრალო მოხეტიალე—სხვაფერდება შპიკი, რომ ყველგან შეძვრეს, გაიგოს ვინ როგორ ფიქრობს, ვინ ვის ემხრობა. ხულიგანთა ბანაკი, ეგრ. წოდ. „იაკორი"-ს საზოგადოება წელებზე ფეხს იდგამს, ცდილობს მარტო მას დარჩეს საარჩევნო ბურთი და მოედანი, ს. დემოკრატია ჩამოაშოროს მუშათა უბნებს, მარა ამაოთ. „იაკორი" ყოველ ძალ-ღონეს ხმარობს თავის საწადელი განახორციელოს, ბოლოს რევოლვერსაც კი მოკიდა ხელი და ამას წინათ შეგნებული ამხანაგი მოგვიკლა. ერთი სიტყვით ამოძრავდა შავბნელი ძალა და ცდილობს „დუმის" არჩევნები „უვნებლათ და მშვიდობიანათ ჩაატაროს". მოწინავე მუშები სდევნიან ისე, როგორც არასოდეს. შეგნებული პროლეტარიატი თავის მხრით ემზადება არჩევნებს შესაფერი სიფხიზლით დაუხვდეს, როგორც უკვე იცით, მასმა დიდმა უმრავლესობამ ბოიკოტი მიიღო სახელმწიფო დუმის და მუსი არჩევნების წინააღმდეგ. ხაზეინებიც ხელს უწყობენ მთავრობას მუშათა დევნაში და თუმცა ბაქოში ისეთაც დიდძალი მუშა-ხალხია უმუშევრათ დარჩენილი, მაგრამ ზოგიერთი ზავოდების ადმინისტრაცია კიდევ ითხოვს მუშებს, ითხოვს განგებ შეგნებულ ელემენტებს, რომ ამათ არ შეეძლოთ არჩევნებზე გავლენის მოხდენა. სხვა პოლიტიკური პარტიები რაღაცას ჩხირკედელაობენ, ჩუმათ პუტუნობენ, რაღაც ემინიათ. კადეტები ხშირათ მართავენ სხდომებს „კეთილშობილურ" სიტყვებს ამბობენ და რეზოლიუციები გამოაქვთ. ეს ერები არ ვიცით სად არიან. დაშნაკციუტუნი თავის გზას ადგია და არ დალატობს ჩვეულებრივ ტაქტიკას. პატარა ამბავი: ამ პარტიის კაცებმა ერთერთ რაიონში მიიხმეს ერთი ჩვენი სომეხი ამხანაგი და პირველი გაფრთხილება მისცეს—აღარ გაბედოთ იქ შემოსვლა და მუშაობა, სადაც ჩვენი დროშაა აფრიალებულიო. საქმე იმაშია, რომ ჩვენები საფუძვლიანათ შეუდგნენ დაშნაკელებთან ბრძოლას ქარხნებში. „კავშართა კავშირი", როგორც ჩანს, სულ შინ ზის, ალბათ ეშინია ფერი არ დაეკარგოს, ესიამოვნება არავისთან შეხვდეს, პოლიტიკური ქალმოგნება მსახურება შეინახოს. სხვებზე არაწულებრივა ფერს ვიტყვი. მოსწავლე ახალგაზრდობა გაფიცულია. ტეხნიკუმმა მოითხოვეს—მოგვაშორეთ ინსპექტორი მახალევსკი, როგორც საზიზღარი და გარყვნილი ადამიანი, თორა არ მოვდივართ შკოლაშიო. მთავრობამ ინსპექტორის ინტერეს სწავლის ინტერესები ანაცვალა და მიკეტა ტეხნიკური სასწავლებელი. არსებული წყობილებით სამი ზიზღით გამსჭვალულმა ახალგაზრდობამ საერთო გაფიცვა გამოაცხადა ყველა სასწავლებლებში, რის გამო კაზაკები წადგენ შკოლების ახლო „მტერთა" დასაფრთხობათ და მთავრობის ძლიერების საჩვენებლათ, თოფი, ხმალი და მათრახი მზათ იყო და არის, გაზეთი „იაკორი" ევირის დაკეტე სასწავლებლები, ეს გვიხსნისო.

საყურადღებოა, პროვოკაცია ბაქოში ძველებურათ ვეღარ ჭრის თათარ-სომეხთა ურთიერთობის ნიადაგზე. თათრული და სომხური ორგანიზაციები ფართოთ ეწევიან აგიტაციას მასაში დაარწმუნებენ მას, თუ ვინ არის მთავრობა და რათ სურს მას ერთაშორის შუღლის ჩამოგდება. მართალია ამ ორგანიზაციების მუშაობას დიდ წინააღმდეგობას უწევენ განათლებული და გაუნათლებელი ხულიგნები ყველა ერისა, მაგრამ უკვე იღვიძებს თათრის და სომხის მშრომელი მდაბიო ხალხი და ვაი თავისუფლების მტრებს, ვაი თანამედროვე ფარისეველთ და მწიგნობართ!

ℵ

## რუსეთის პრესა

ვის არ გაეგონება ზუბატოვი, ცნობილი პროვაკატორი რევოლიუციონურ მოძრაობისა. საინტერესო მხოლოდ ის არის, რომ ეს ყველასაგან დაგმობილი და სამარცხვინო ბოძზე გაკრული ვაჟბატონი ახლა გამოდის და თავის „მოღვაწეობის" დაცვას ცდილობს პრესის საშუალებით. განა ამაზე მეტი გამბედაობა კიდევ შეიძლება! ყოველ შემთხვევაში ბ-ნ ზუბატოვის წერილი, რომელიც ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის" მარტის ნომერშია მოთავსებული, საინტერესოა, როგორც გავლილი ხანის „გმირების" დამახასიათებელი მასალა, ამიტომ მოგვყავს იქიდან რამდენიმე ადგილი:

„მე იმიტომ გადვიარე პეტერბურგში, რომ დამაჯერეს შენ მიერ დაწყებული საქმე უფრო გაფართოვდება და გაიზრდებაო. მოსკოვში ჩამოსულ პლევესთან მე სამჯერ მქონდა დავა იმის შესახებ, რომ საჭიროა ცოტა რეფორმები, რომ რეპრესიებით ვერას გახდება, რომ რეფორმატორული პოლიტიკა საუკეთესო საშუალებაა რევოლიუციის წინააღმდეგ. ვუმტკიცებდი, რომ საზოგადოებრივი ძალების ცოტათი თავისუფლებაა საჭირო. პლევე მიმტკიცებდა: რუსეთში საზოგადოებრივი ძალები არ არსებობენ, არსებობენ მხოლოდ ჯგუფები და წრეებიო. საკმაოა კარგმა პოლიციამ იმათი ცენტრი მიაგნოს და ყოველივე მოძრაობა ჩაქრებაო. ეს რომ ასეა, მე ჩემი პრაქტიკიდან ვიცი, ამნაირათ მოესპე მე „ნაროდნაია ვოლიას" ჯგუფიო. გატაცებით დავუწყე წინააღმდეგის მტკიცება, მაგრამ მან დაცინვით „მარკიზ პოზა" მიწოდა. მე იმედენათ მწამდა პლევეს პრაქტიკული ნიჭი და უნარი, რომ ვფიქრობდი სინამდვილე პლევეს გამოცვლის მეთქი, ამ რწმენით გავწიე პეტერბურგში.

ჩემი იმედი არ გამართლდა. რეპრესიები [illegible] შეუყვარდა მას, რომ გინებაც კი დამიწყო: [illegible] სულელეებს ჩმახავ და ნამდვილ საქმეს ტოვებო, დაბოლოს პირდაპირ მოითხოვა „საქმეს" [illegible] ხოვოდი, განსაკუთრებით თხოულობდა „დამოუკიდებელ ებრაელ მუშათა პარტიის" დაშლას. გაიგო თუ არა ეს პარტია თავის თავად დაიშალა... მე არ შემეძლო არ მეთქვა, რომ ის ტყუილათ უდგია რუსეთის შინაურ პოლიტიკას სათავეში, რომ იმისაგან არავითარი ხეირი არ გამოვა, რომ მისი წასვლა ხელმწიფისთვისაც სასარგებლოა, რუსეთისთვისაც და მისთვისაც, რადგანაც უეჭველათ მოკლავენ-მეთქი. ეს გაიგო [illegible] ვემ და 24 საათში პეტერბურგიდან [illegible] გადამასახლა. ორი თვის შემდეგ აღარც [illegible] ში დამაყენა. „ურია შაევიჩი" კი, რომლის [illegible] ქერას თავდაპირველათ შეცდომათ თვლიდა, [illegible] ველათ ვოლოგდაში გაგზავნა, მერმე ციმბირში. (შაევიჩი „დამოუკიდებელ ებრაელთა მუშათა პარტიის" წევრი იყო, ზუბატოვის აგენტი).

## საბრალო დემაგოგები!

Сосѣдка, перестань срамиться!

„ივერია" მარტო აღარ დგას „ბრძოლის" ველზე. ეხლა მას „პატარა გაზეთი" და „ახალი დროებაც" უმშვენებს მხარს.

სამივე ერთ ვისმეს ებრძვის—სოციალდემოკრატიას, სამივე ერთ ვისმეს უცხადებს სიყვარულს, ქართველ ერს, განსაკუთრებით ქართველ მუშა ხალხს, ეს სიძულვილი სოციალდემოკრატიისადმი და „სიყვარული" მუშებისადმი წითელ ხაზივით აქვს გატარებული. განსაკუთრებით „პატარა გაზეთი"-ს „მწერლებს". ისე უყვარს ამ უდღეურ ბავშვს ქართველობა, რომ ქართველ ერს „მოძულე" სოციალდემოკრატებს სიბრაზით შუბლს უჭმუხნის და ლანძღავს, ღმერთო ჩემო, რა როგორ ლანძღავს. „პატარა გაზეთი"-ს ლანძღვა—ეს ნამდვილი კაფე-შანტანური პოეზიაა! ეტყობა [illegible] ლიან უნდა იცნობდეს ამ პაწაწკინტელა გაზეთის რედაქცია ამ დაწესებულებას. და, რადგანაც [illegible] თი კილოთი ლაპარაკი ჩვენ არ ვიცით, ამიტომ ამ გაზეთიდან ყოველივე ლაპარაკს ვწყვეტ.

გადავდივარ „ახალ დროებაზე". ამ გაზეთთან ლაპარაკი კიდევ შეიძლებოდა თავდაპირველათ, მაგრამ რაც დღე მიდის „პატარა გაზეთი"-ს იწაფება და მთელ მის მიხვრა-მოხვრას და [illegible] ჯას სწავლობს. აი თუ გინდა ბ-ნი აირაპეტი იმას უნდა სოციალდემოკრატიის ტაქტიკა [illegible] წუნოს, მაგრამ დასაბუთების მაგიერ ცილისწამებას მიყო ხელი, „დასავლეთ საქართველოში ამ სოციალდემოკრატების სამეფოში, ხალხი იჭერს სოციალდემოკრატებს და პოლიციას მიჰგვრისო". ეს კერძო შენიშვნა, ხოლო რაც შეეხება არსებითად მის წერილს, ის იგივეა, რასაც ბ-ნი გოგიჩაიშვილი წერს.

ვინც დაკვირვებია სოციალდემოკრატიის მოწინააღმდეგეთა კამათს, ის ერთ რასმეს შეამჩნევდა, როცა რომელიმე ერის სოციალდემოკრატიას ებრძვიან, ხშირათ ამ პარტიის საერთაშორისო-მხედველობას როდი ეხებიან, არამედ ისინი ერთი ერის სოციალდემოკრატიას უპირისპირებენ მეორე ერის ასეთსავე პარტიას და ნიშ მოგებით ამბობენ: აი შეხედეთ, თქვენ რა ვარგიხართ, თორემ იმათ რა უჭირთო. ამ [illegible] რათ რუსეთში ამკობენ გერმანიის სოციალდემოკრატებს და აძაგებენ რუსეთისას, გერმანიაში აძაგებენ გერმანელებს და აქებენ რუსებს, ან ფრანგებს. ეს დემაგოგიური ხრიკი მეტყველობა

# ფელეტონი

### ძველი და ახალი რევოლიუცია

ბ. კაუცკისა

(თარგმანი)

დღეს ბრმისთვისაც კი ცხადი შეიქნა ის, რაშიაც ამ ერთი წლის წინათ ეჭვობდენ ბევრი ჩვენი თანამოაზრენიც კი. დღეს რუსეთში ხდება რევოლიუცია, რომელიც თავისი ძლიერებით და მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება ორ უდიდეს რევოლიუციას, რომელიც აქამდის ისტორიას უნახავს—ინგლისის მე-17 საუკუნეში და საფრანგეთის მე-18-ში.

ყველა ისენი ძლიერ წააგავან ერთმანეთს, ხოლო მათი გარეგანი თვისება პირდაპირ გასაოცარია. ყველა ამ რევოლიუციებში თვითმპყრობელობას ებრძოდენ; ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა მთელი ხალხი, რადგანაც თვითმპყრობელობა ყველასათვის აუტანელი შეიქნა, რადგანაც მან გაანადგურა მთელი ქვეყანა, აწამა და მასხარათ აიგდო ყოველივე.

მაგრამ ამ დასახელებულ ნიშნებს გარდა მზგავსება აღარ არის. როგორც კი პოლიტიკურ ზედაპირს ჩავშორდებით და ჩავეშვებით კლასობრივ წინააღმდეგობათა მორევში, რომლებიც არიან მოძრაობის ნამდვილი გამომწვევი მიზეზები, ჩვენ მაშინვე დიდ განსხვავებას ვხედავთ.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ აქ ვპოულობთ ერთ დიდ განსხვავებას წინანდელ რევოლიუციათა და დღევანდელ რევოლიუციის შორის. ამ უკანასკნელში, პირველათ მსოფლიო ისტორიაში, სამრეწველო პროლეტარიატი ძლევამოსილი გამოვიდა როგორც დამოუკიდებელი მებრძოლი ძალა. პარიჟის კომმუნის აჯანყება 1871 წ. მხოლოდ ერთი ქალაქის აჯანყება იყო, და რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩააცხრეს იგი. ეხლა კი ჩვენ თვალწინ ხდება რევოლიუცია, რომელმაც არ დასტოვა არც ერთი კუთხე დაწყებული ჩრდილოეთის ოკეანედან, ვიდრე შავ ზღვამდე, ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე, და რომელიც აგერ ერთი წელიწადია გრძელდება, ძალა და თვითცნობიერება პროლეტარიატისა კი თანდათან იზრდება.

აშკარაა, ჯერ კიდევ ლაპარაკიც მეტია პროლეტარიატის დიქტატურაზე, ანუ სოციალურ რევოლიუციაზე, მაგრამ საფუძველი კი ამისთვის უკვე ჩაიყარა. რუსეთის პროლეტარიატი მხოლოდ ეხლა ამსხვრევს თავის ბორკილებს, რომ ხელებ ახსნილმა თავისუფლათ აწარმოოს კლასობრივი ბრძოლა კაპიტალთან; იგი ჯერ კიდევ ვერ გრძნობს იმდენ ძალას, რომ კაპიტალის ექსპროპრიაცია მოახდინოს. მაგრამ თვით ლოზუნგი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა, სოციალიზმის მხრით რომ შევხედოთ, ნიშნავს დიდი ნაბიჯის გადადგმას წინ 1649 და 1789 წლების რევოლიუციებთან შედარებით.

ორთავე ამ რევოლიუციებში გამარჯვების ნაყოფი, და-ბოლოს, კაპიტალისტთა კლასს ერგო. მაგრამ ის ხომ, როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურათ სხვების გაყვლეფით ცხოვრობს. მას არასოდეს არ მოუხდენია რევოლიუცია, მაგრამ მუდამ კი სარგებლობდა თავისი ინტერესებისათვის. რევოლიუციის საქმეს, ბრძოლას და ყველა მასთან შეკავშირებულ ხიფათს და განსაცდელს იგი მუდამ ხალხს უთმობდა. მაგრამ მე-17-ე და მე-18-ე საუკუნოებში უმთავრეს აქტიურ ძალას ხალხისას წარმოადგენდენ არა პროლეტარიები, არამედ წვრილი ბურჟუები; პროლეტარები მხოლოდ შეუგნებლათ მხარს უჭერდენ მათ. და სწორეთ ამ წვრილმა ბურჟუაზიამ მსხვილი ცენტრებისა—ლონდონისა და პარიჟისამ, შეგნებულმა და დაუცხრომელმა მოწინააღმდეგემ, თავის თავზე იკისრა ბრძოლა თვითმპყრობელობასთან და შესძლო კიდეც იმის დამარცხება.

რაც რუსეთში აბსოლიუტიზმმა ფეხი მოიდგა, არასოდეს, და მით უფრო ნაკლებ უკანასკნელ საუკუნოებში, წვრილი ბურჟუაზია შეგნებული და მოწინააღმდეგე არ ყოფილა. მათი რაზმები უმეტეს ნაწილათ შესდგებოდენ იმ უმიწო-წყლო გლეხებიდან, რომელნიც ამ რამდენიმე ათი წლის უკან ჯერ კიდევ ყმები იყვნენ. რუსეთში არ არის ისეთი დიდი ქალაქი, რომელიც ტონს აძლევდეს მთელს სახელმწიფოს, ეხლა თვით საფრანგეთში და ინგლისშიაც სატახტო ქალაქებმა უკვე დაკარგეს თავისი უპირატესობა, რომელიც დღევანდელ ხანაში იძულებულნი არიან გაუნაწილონ დანარჩენ სამრეწველო ცენტრებსაც; წვრილმა ბურჟუამ დასავლეთშიაც თავი გაანება რევოლიუციონერობას და რუსეთშიაც რეაქციის და მთავრობის ძალის მთავარი დამცველი შეიქნა.

სრულებით გასაკვირალი არ არის ის გარემოება, რომ რუსეთში წვრილი ბურჟუაზია, პროლეტარიატის ნაძირალებთან ერთათ, თავდაპირველათ გამოვიდა როგორც რევოლიუციის მოწინააღმდეგე ელემენტი, რომელიც მოქმედებდა პოლიციის განკარგულების ქვეშ რევოლიუციის ჩასაქრობათ. მაგრამ რადგანაც ამ ბურჟუაზიას არა აქვს არავითარი პოლიტიკური პროგრამა და არავითარი პოლიტიკური მიზნები, ამიტომ იმისი როვოლიუციასთან ბრძოლაში ჩათრევა შეიძლება მხოლოდ პირადი სარგებლობის დაპირებით, აწა და პირად შურისძიების გრძნობის გაღვიძებით მათში. მაგრამ პროლეტარიატთან ბრძოლა მას უქადის მხოლოდ ჭრილობებს და განსაცდელში აგდებს მის სიცოცხლეს, რადგან იგი შეიარაღებულია. და ეს რეაქციონერი წვრილი ბურჟუა, ყოველივე პოლიტიკურ იდეალებს მოკლებული, მუდამ იმდენათვე მხეცია, რამდენათაც მხდალი, მშიშარა: ის თავის ჯავრს იმაზე იყრის, ვინც უფრო სუსტია. იგი უფრო მეტის ხალისით თავს ესხმის ქალებს და ბავშვებს. ხოლო ეხლანდელ რევოლიუციასთან ბრძოლაში კი—ებრაელებს და სტუდენტებს, მაგრამ მუშებს კი ვერა, რადგან მათ შეუძლიათ თავის დაცვა. ამნაირათ რუსეთის კონტრ-რევოლიუცია წარმოადგენს უბრალო ცარცვა-გლეჯას, ხოცვას, აწიოკებას და დაწვა-განადგურებას, რის გამო დღეს რევოლიუციონური პროლეტარიატი რეაქციასთან ბრძოლაში გახდა, პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისეთ აუცილებელ პირობათ საზოგადოების არსებობის განსაგრძობათ, როგორიც დიდი ხანი არის ეკონომიურ ცხოვრებაში. მეორე მხრით, წვრილი ბურჟუაზია, რამდენათაც იგი არ უერთდება პროლეტარიატს, პოლიტიკურათ ისეთი ელემენტია, რომელსაც მხოლოდ ზარალის მოტანა და საზოგადოების არევ-დარევა შეუძლია, და აგრეთვე ეკონომიურათ იგი წარმოადგენს ნამდვილ პარაზიტს (მუქთამჭამელს) საზოგადოებრივ ორგანიზმზე, რომლის ხარჯზედაც მხოლოდ შეუძლია იცხოვროს.

**წვრილი ბურჟუაზიის** შემდეგ ყველა მებრძოლ რევოლიუციონურ ელემენტებს შორის წინანდელ რევოლიუციებში უმთავრესი **გლეხობა** იყო. მართალია რეფორმაციის ხანაში, გლეხთა ომების დროს, საკმარისათ გამოჩნდა, რომ გლეხობას შეუძლია მხოლოდ, შეარყიოს სახელმწიფო, მაგრამ მას არ შეუძლია შექმნას მასში ახალი დამოუკიდებელი ძალა. დღეს გლეხობას უცქერიან არა როგორც ცალკე პარტიას, არა როგორც ცალკე პოლიტიკურ ლაშქარს, არამედ როგორც **დამხმარე ძალას** სხვა პოლიტიკურ ლაშქართა ანუ პარტიათა შორის; იგი მაინც არ არის მოკლებული ყოველივე მნიშვნელობას და, იმისდა მიხედვით, თუ ვის მიემხრობა, მას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს საბოლოო გამარჯვებაში ან დამარცხებაში.

ს. ქ.

(დასასრული იქნება).

...შეწუხებული ბ-ნ გოგიჩაიშვილს. ის ისე ... დასწყრს, რომ რომელიმე უცხოელ სოციალდემოკრატების სახელით ქართველ სოციალდემოკრატებს არ შეუკურთხოს და „ჭკუა ... ს". და ეს იმიტომ კი არა, რომ ეს ... თითქოს არ სწამდეს მას, არა მას უთქვამს სოციალდემოკრატების „სიკეთე" ალაპარაკდა ეხლაც სოციალდემოკრატია დამარცხდება თეორიულათ და ფიზიკურათ", „ეს სამუშაო ჩემთვისაო"—გამოაცხადა მან „ივერიის" პირველ ნომერში, მაგრამ „ცემა" კი დაუწყო. მას, რა თქმა უნდა ცოდნია, „ტქცეულს არ ცემენ", და თუ მაინც დაიცემა", ეს იმიტომ, რომ „ბევრი ... უკადრისი ამბები პარტიის იდეოლოგებს გამოაცხადებდენო". მაგრამ დახე ამ უკანასკნელთა ... ურობას—მადლობის მაგიერ ეს უკანასკნელნი ... ჯავრით თურმე გვდებიან, რომ ბ-ნი გოგიჩაიშვილი ცოცხალია და „ივერიის" ფურცლებზე „დარიგებას" იძლევა. გოგიჩაიშვილი ... არ იყოს, ისინი—ეს ხალხის მტრები თავისუფლათ ითარეშებენ, ვინაიდან მის ... ვერ მიხვდება ამათ სიყალბეს. და ... გოგიჩაიშვილის საწინააღმდეგოთ ვინ იცის ... არ ჩმახავენ: არ იფიქროთ, მკითხველო, ... ნი დოქტორი შეშინებული იყოს და „ივერიის" ფურცლებში შეებრალებითოს... ის არ ... რკეპა და ყითარცა გზიძი გასაგრძობს სოციალდემოკრატების „ჭკუის სწავლებას"—თვით ... რომ ბულზე გასკდეთ მაინც არ მოგეშვებითო, ... ლეკვებით აცხადებს ის „ივერიის" მეორე ნომერში,

დავამშვიდოთ ეს იწვით ავადმყოფი, დეე წყრეს, რაც ენაზე მოადგეს, განა „განთიადმა" ის უთხრა, რომ შენი მწერლობა არ მაძლევს მოსვენებასო?

„чего Иванъ хочешь.
чего Иванъ плачешь!"

თქვენ მხოლოდ გირჩიეს წყალს ნუ ნაყავთ და თუ მაინცა და მაინც გეხასიათებათ ასეთი საქმე, ეს თქვენზე კიდია.

ახლა ვნახოთ რაში გამოიხატება ბ-ნ გოგოჩაიშვილის მიერ აღნიშნული მომაკვდინებელი შეცდომა სოციალდემოკრატებისა? იმაში, რომ ის თურმე ამბობდა; შეიარაღებული აჯანყება ხუმრობა არ არისო. და მერმე რომელი სოციალდემოკრატი ამბობდა იმას, რომ შეიარაღებული აჯანყება ხუმრობააო? „ეს მე შარშან ვთქვი და ეხლა პლეხანოვიც კი ამბობსო", ამიტომ იძახის ის. ესე იგი პლეხანოვსაც გადმოაქნევია ჩვენსკენ მათრახი. მერმე საბუთი იმას, რომ სოციალდემოკრატები ეხუმრებოდენ აჯანყებას, ამის საბუთი სად არის? თქვენ გგონიათ ბ-ნ გოგიჩაიშვილს რაიმე ჭროკლამაცია აქვს ხელში, რაიმე დოკუმენტი ამის? სრულიადაც არა. მას მხოლოდ მიტინგზე უყურებია ერთი ორატორისა,*) რომელიც თურმე მეტეხის ციხის აღებას ... ხალხს. და აქედან გამოსული ის პარტიის იდეოლოგებს „ამათრახებს"... აი კრიტიკას ამას ქვია სწორეთ!

სოციალდემოკრატებმა „აჯანყების დაწყება გადაწყვიტესო". აი მთელი მისი კრიტიკა! როდის გადაწყვიტა სოციალდემოკრატიამ აჯანყების დაწყება? დეკემბერში გამოაცხადეს საერთო პოლიტიკური გაფიცვა, ფურცლებიც ამის შესახებ იყო გამოცემული, მოსკოვში სოციალდემოკრატიულმა კომიტეტმა აჯანყების დროსაც კი გამოაცხადა: აჯანყება ჩვენ არ დაგვინიშნავს, ეს სტიქიურათ გამოწვეულ იქმნა შეშებისაგანო. ერთი სიტყვით, დეკემბერში უნდოდათ ოქტომბრის გაფიცვის განმეორება. ისიც ტყუილია, თითქოს ამ გაფიცვამ სოციალდემოკრატების დაიქცია. თავდა პირველათ ფოსტა-ტ ლ გრაფი გაფიცა, შემდეგ რკინის გზა, მერე კი გარემოება აიძულებდა ყველას საერთო გაფიცვა მოეხდინა რეაქციის საპასუხოთ. მოხთა საერთო გაფიცვა, ეს გაფიცვა ზოგან აჯანყების სახე მიიღო, ზოგან გაფიცვის ფარგალს არ გასცილდება, ეს იყო და ეს. გაფიცვა დამარცხდა, რეაქციამ ფრთა გაშალა და რეაქციასთან ერთად „ივერიაც" ააყიანდა: აი შეხედეთ დაგვექცია სოციალდემოკრატებმაო. თუ თქვენ წინააღმდეგი იყავით გაფიცვის, ოქტომბერში რათ არაფერს ამბობდით ამის შესახებ?

ვერც ერთი პარტია ვერ დანიშნავს აჯანყებას და ვერც დანიშნავდა სოციალდემოკრატია. მას შეუძლია ასე თუ ისე გზათ შეხვდეს ისტორიულ აუცილებლობას, ასეთი თუ ისეთი კვალი დაჩნიოს ისტორიულ სვლას. გოგიჩაი-შვილი იძახის, სწორეთ ამის წინააღმდეგი ჩაიდინეთო. გამოდის, რომ სოციალდემოკრატებმა დაატყვევლეს მუშები, ქუჩაში გაიტყუეს და მტერს შეაკლეს, „ზოგიერთი მეთაურები კი საშშვიდობოში გადამალვენო". აი ამ საჩოთირო დემაგოგობას გოგიჩაიშვილი კრიტიკის და ჭკუის სწავლებას

*) ბ. გოგიჩაიშვილი საზოგადოთ გამწყრალია ... „ბელადებზე" და ამ წყრომას ისე დაუბნელებია მისი გონება, რომ ყველა ბელადი გონია. ს. დ. ბელადიაო იძახის და უნდა კიდევ მასხარათ იიღოს მისი ბელადობა, თითქოს ... ძალიან იცნობდეს. მოვაგონებთ გოგიჩაიშვილს, რომ ის მე ვერ მიცნობს, თვალები ამოიშვნიტეთ ბ-ნო დოქტორო! ხ. დ.

ეძახის. „რა ქნეს მეთაურებმა? ან იქნება თქვენ არ იცოდით ასეთები?"—კითხულობს იგი. მე რომ გოგიჩაიშვილი ვყოფილიყავი ამ მიდგომის სიას დაუყოვნებლივ გამოვაცხადებდი. ამას მოითხოვს გოგიჩაიშვილისეური საქმის „სიყვარული" და „მამულიშვილური გრძნობა. გამოაშკარავენეთ, ბ-ნო, ნუ გეშინიათ, ეს არ იქნება პროვოკაცია „ისინი ხომ საშშვიდობოში არიან გასულნი?"

მაგრამ მე ვიცი, რომ თქვენ ამას ვერ შეიძლებთ, ვერა იმიტომ, რომ მაგ ბრალდებას ვერ დაამტკიცებთ. თქვენ დემაგოგობთ მხოლოდ. თქვენ ურცხვათ ამახინჯებთ ფაქტებს. სოციალდემოკრატია ქადაგებდა აჯანყებას და ამ აჯანყებისთვის შეიარაღებას. განა ეს ნიშნავს აჯანყება დაიწყეთო? თქვენ ამბობთ, ამის ქადაგებაც არ ვარგა, რადგანაც აჯანყების დაწყება არაოდეს არ შეიძლება, დაგვემარცხებინო. მაშ სადღაა ხსნა? ნუ თუ არაფერი გვეშველება? უფლების შესაძენათ ხომ ძალაა საჭირო? უძალოთ მოუპოვია ვისმე უფლება? აბა ერთი მაგალითი მაინც დაასახელეთ? მაგრამ თქვენ ვერც მაგას შეიძლებთ.

დასასრულ ბ-ნი გოგიჩაიშვილი დამცინის: ორ ასოს უკან არა „ლომურად" იმალებიო. *) ესე იგი ფსევდონიმი—ეს შენი სილაჩრეა და სოროში მალვაო. თუ აგრეა, მაშ ეგეც თქვენი თანამშრომლებიც სოროებში იმალებიან თურმე! რათ ჩადიან ამ სამარცხვინო საქმეს? მაგრამ კმარა... ს. დ.

# რ უ ს ე თ ი.

**არჩევნების ბოიკოტი.** პეტერბურგში 5 მარტს არჩევნები უნდა მოხდარიყო შემდეგ სამრეწველო დაწესებულებებში: გლებოვის, პინტშის, არტურ კოპელის ქარხნებში და საერთაშორისო საზოგადოების ფაბრიკაში. ყველგან მუშებმა ბოიკოტი გამოუცხადეს სათათბიროს და არჩევნებზე უარი თქვეს.

აი მოკლეთ მუშების რეზოლიუცია: სათათბირო ყოვლად უვარგისია, ის ვერაფერს ვერ მისცემს მუშას, ის ხაფანგია და მეტი არაფერი, ამიტომაც უარს ვაცხადებთ არჩევნებზე. შემდეგ ასეთი რეზოლიუციისა საერთაშორისო საზოგადოების ფაბრიკის მუშები წასულან ადმინისტრაციასთან და გაუცხადებიათ: ყოველ შემთხვევაში იქამდე მაინც არ ავირჩევთ რწმუნებულებს, სანამ ჩვენს დეპუტატს ალშევსკის და სხ. არ გაანთავისუფლებენო.

**ნაძალადევი არჩევნები.** მექანიკურ წარმოების საზოგადოების ფაბრიკაში ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ძალათ მოახდინოს არჩევნები. ამიტომ „არა საიმედო" მუშებს უმიზეზოთ ითხოვენ. ჯერ-ჯერობით დაითხოვეს 9 კაცი ერთ განყოფილებაში, მეორეში 24.

**არჩევნების შედეგი.** გაზ. „რეჩის" გამოანგარიშებით 360 ვოლოსტებიდან 210 ვოლოსტმა პროგრესისტები აირჩია, 150 კი რეაქციონერები.

**კაზარმაში.** როტის კამანდირებს უბრძანებს: ჯარის კაცების სახელზე მოსული წერილები, ამანათები და სხვები უექველათ გახსენით და გასინჯეთო.

# უ ც ხ ო ე თ ი

**საფრანგეთი. რუვიეს სამინისტროს დაცემა** (საკუთარი კორესპონდენტისაგან). გაიგებდით, რომ საფრანგეთში რუვიეს სამინისტრო დაეცა. ამ გარემოების მიზეზები უეჭველათ დიდ პოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენენ და მეც მსურს მოკლეთ გაგაცნოთ მიზეზები. როცა პირველათ ეს ცნობა წავიკითხე დეპეშებში ვიფიქრე, რომ სამინისტროს დაცემის მიზეზი მაროკოს საკითხია მეთქი, მით უფრო, რომ ამ სულელურ დიპლომატიურ მანიფესტაციას მაინცა და მაინც არ ვაძლევდი თვალს, ვიცოდი მხოლოდ, რომ საფრანგეთის პალატა ამ კითხვაში არ თანაუგრძნობდა მთავრობის პოლიტიკას. გამოდგა, რომ მე შევცდი. კაბინეტი დაეცა „სულ უბრალო მიზეზით", ერთ პატარა სოფელში, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გაყოფის საქმის ცხოვრებაში გატარების დროს, ჯარსა და ხალხს შორის სისხლის ღვრა მოხდა. ამის შემდეგ ნაციონალისტებმა სამინისტროში შეკითხვა შეიტანეს და კამათის შემდეგ პალატამ 633 ხმას უმეტესობით მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა. ასეთია ერთი შეხედვით სამინისტროს დაცემის მიზეზები. მაგრამ ჯერ ეს არის მართალი. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას საფრანგეთში უფრო მეტი შედეგი მოყოლია, არა ერთხელ მომხდარა ხალხსა და ჯარს შორის შეტაკება, მაგრამ პალატას მაინც სურდა ამ კანონის ცხოვრებაში გატარება და მთავრობას ეოველთვის ნდობას უცხადებდა. და რა თქმა უნდა, მარტო ეს მიზეზი—ხალხთან შეტაკება—რომ ყოფილიყო, კაბინეტი არ დაეცემოდა. ნაციონალისტები არა ერთხელ გალაშქრებულან ამ ბოლო დროს მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ რესპუბლიკანელები და მემარცხენე მთავრობას ემხრობოდენ. ამ შემთხვევაში კი ეს არ მოხდა—სოციალისტები და რადიკალების ნაწილი არ მიემხრო კაბინეტს და კაბინეტიც დაეცა. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საქმეში რუვიეს პოლიტიკა რაღაც ორ აზროვანი და ორ პირი იყო. გამოდგა, რომ როცა ამ კანონს ასხორციელებდა, რუვიეს ნუმათ პაპთან ქონდა მოლაპარაკება, რომ რაიმე გზით „შეემსუბუქებია" ეს კანონი, ერთი სიტყვით მას არ სურდა პაპთან სამუდამოთ შეეწყვიტა კავშირი. ამის შედეგი ის იყო, რომ ამ კანონის განხორციელების დროს მას აკლდა გაბედულება და ენერგია. მართლაც, როცა მუშაობა მანიფესტაციის ჩამლაზეა საქმე მთავრობა ყოველთვის მზათ არის და ამ მანიფესტაციებს შლის. აქ კი, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის დროს, ის ვერ აცხრობს ხალხის ჭიარელო მოძრაობასაც, რომელსაც არც იმდენი სოციალური ფესვები აქვს, და ეს კი პაპის ხათრისათვის მისცლოდა მთავრობას. ეს კი აძლიერებდა ანტირესპუბლიკანურ მოძრაობას. მეტადრე ბით საოცებლობდენ ნაციონალისტები, რომ რესპუბლიკა ხალხის თვალში გაეშავებიათ. მაშასადამე, რუვიეს პოლიტიკა ხელს უწყობდა რესპუბლიკის მტრებს. რაკი ეს გაიგეს, ცხადია სოციალისტები ვეღარ დაუჭერდენ მხარს მთავრობას. სოციალისტებს მიემხრენ ბევრი რადიკალები და რადიკალ-სოციალისტები. როგორც ხედავთ კაბინეტის დაცემა ნაციონალისტების გამარჯვება როდია, ეს გამარჯვებაა სოციალისტების პოლიტიკისა. ვის მოანდობენ კაბინეტის შედგენას. ეს აინტერესებს ეხლა ყველას. ასახელებენ ლეონ ბურჟუას, ჭუანკარეს, კლემანსოს, მილლერანს, სარიენს*) და სხ. ერთია მხოლოდ ცხადი—მთავრობა მარცხნით გადაიწევს. საერთოთ არავინ არ მისტირის რუვიეს კაბინეტს, მაგრამ ბევრს აფიქრებს მომავალი ახალი კაბინეტი. კაბინეტი მაშინ დაეცა, როცა მოისპო რესპუბლიკანური ბლოკი. ბლოკი დაარღვა მაშინ, როცა ჟორესის მეთაურობით სოციალისტები წავიდნენ. რესპუბლიკანელები და დემოკრატები ძალიან დაფიქრებულნი არიან. ისინი ამბობენ—ისევ საჭიროა რესპუბლიკანური ბლოკით. და მართლაც უამბოკოთ რესპუბლიკანური სამინისტროს მდგომარეობა საფიქრელია.

მეორე მხრით რადიკალები (კლემანსო) აცხადებენ, რადიკალური სამინისტროა საჭიროო. ვნახოთ რა იქნება.

**ინგლისი.** როგორც გერმანიის სოციალდემოკრატიული ეო ელდღიური გაზეთი „ფორვერტს"-ი გადმოგვცემს ინგლისის ადმირალთა დაწესებულებამ მომავალ წლის 1906—07 ფლოტის ბიუჯეტი გამოაქვეყნა, რომლიც წარსულ წლის საფლოტო ბიუჯეტთან შედარებით 1,520,000 გირვანქა სტერლინგით შემცირებულია. ეს შემცირება უფრო თვალსაჩინო იქნება, თუ რომ 1904—05 წლების საფლოტო ბიუჯეტს მომავალ წლისას დავუპირდაპირებთ. უკანასკნელ სამი წლის ფლოტის ბიუჯეტი შემდეგ ციფრებს იძლევ:

| წლიწადი. | გირვანქა სტერლინგი. |
|---|---|
| 1904—05 | 36,859,681 |
| 1905—06 | 33,389,500 |
| 1906—07 | 31,869,500 |

ინგლისის მომავალ წლის ფლოტზე გასავლის შემცირება, რასაკვირველია, ამავე მთავრობის მშვიდობიანობის იდეის მისწრაფების შედეგი არარის, ეს უფრო უკანასკნელ მსოფლიო პოლიტიკის და გამოქნილ დიპლომატიის ნაყოფია. როგორც მოგეხსენებათ, სამხედრო ძალის გადიდება, საერთოთ მჭიდროთ არის შეკავშირებული დიპლომატიასთან, ინგლისის მთავრობას 1904 წლამდე მუდამ ფიქრობდა, შეიძლება რუსეთ-საფრანგეთ-გერმანიასთან რამე კონფლიქტი გამომივიდესო, ამისათვის მთავრობა ამის მიხედვით აძლიერებდა თავის ფლოტს. მაგრამ ისტორიის ულმობელმა მსვლელობამ საერთაშორისო ძალთა განწყობილება სულ სხვა გვარათ შესცვალა და ინგლისის საზღვაო პოლიტიკაც სულ სხვანაირათ შეცვალა. ცუსიმის ბრძოლის შემდეგ, რუსეთის საზღვაო ძალა მთლიანათ განადგურდა, იგი, როგორც საზღვაო ძალა სამუდამოთ წაიძლა. ახლა ინგლისის მთავრობას ორ დანარჩენ მთავრობის ფლოტთან-და უხდება გასწორება და აი, ეს უკანასკნელი ისტორიული მოვლენაა. მიზეზი, რომ ინგლისის მთავრობამ ასე დაბლა დასწია ფლოტის ბიუჯეტი და მით შეუმცირა ინგლისის ხალხს მძიმიანი ზედმეტი გადასახადი. ვინ იცის კიდევ სხვა რამდენ ბედნიერებას არ მოუწევდა კაცობრიობას, რომ დღევანდელი რუსეთის მილიტარული ძალა არ არსებობდეს!

**ავსტრო-უნგრეთი. ვენა.** დეპუტატთა პალატა განაგრძობს საარჩევნო რეფორმის კითხვას. დეპუტატთა კრებამ განაცხადა, რომ ხალხის წარმომადგენლები მუდამ მზათ იქნებიან სახელმწიფოსთვის საჭირო გადასახადების მოკრეფას მხარი დაუჭირონ, ჩვენ გვსურს მხოლოდ პოლიტიკური მშვიდობიანობა, მთავრობის სხვა-გვარ პოლიტიკას ჩვენ ბრძოლით მივეგებებითო. საარჩევნო რეფორმა, ერთიანი და აუცილებელი პირობაა კონსტიტუციონალურ სახელმწიფოსთვის. ჩეხები ენერგიულათ ითხოვენ გერმანელებთან უფლებრივ გათანასწორებას, მათ სურთ ყველა ერთ-თანასწორობა. ქვეყანაზე არავითარ ძალას არ შეუძლიან შეაგოს საარჩევნო რეფორმა. რადგან სამართლის პრინციპი შეურყეველია. ჩეხები ამ საარჩევნო რეფორმაში ხედავენ თავიანთ ხსნას.

*) ეს წერილი კაბინეტის შედგენამდეა დაწერილი. კაბინეტი უკვე შეადგინა სარიენმა- რედ.

*) ეითომ აბა მე შემომხედეთ რა მედიდურათ ვარ წამოსკუპული რეზინიან სკამზეო! ასოთ-ამწ.

## ლექციები თფილისში

კვირას, 12 მარტს ნაფიცმა ვექილმა გ. გვაზავამ თფილისის კადეტების სახელით არტ. საზოგადოების კლუბში წაიკითხა ლექცია ამ სათაურით: „რუსეთის მთლიანობა და ავტონომია", ლექციას ხალხი ნაკლებათ დაესწრო, დირექტორმა დაიწყო იქიდან, თუ რა პროგრამას ადგას კონ.-დემოკრატიული პარტია და შემდეგ ავტონომიაზე. ლექტორის აზრით გარდა პიროვნების და მუშების ჩაგვრისა, არის კიდევ სხვაგვარი ჩაგვრა. რომელიც მთელ ერს ეხება და ამიტომ ამისთვის საჭიროა საშუალებაა ავტონომია. ავტონომია ითხოვს, რომ მმართველი ენა გაუთანასწორდეს სახელმწიფო ენას დამეორეს მხრით ცალკე ერთათვის ცალკეე კანონმდებელი მმართველი და გამგე ორგანოები დაწესდეს, მათ განსაკუთრებულ და თავისებურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. პოლონელთათვის, ფინლიანდიელთა და რუსეთის ზოგიერთ სხვა ერთათვის ეს საკითხი ადვილი გადასაჭრელია, ხოლო სულ სხვანაირათ არის საქმე კავკასიის შესახებ, სადაც სხვა და სხვა ერები ცხოვრობენ. ყველა ამათთვის ერთ ავტონომიის დაარსება შეუძლებელია; საჭიროა თვითეულ ერს ცალკე ნაციონალური ავტონომია მიეცეს.—რითი განსხვავდება ავტონომია თვითმართველობისა და ფედერაციისაგან?—კითხულობს ბ-ნი გვაზავა. ავტონომიური წყობილება ნიშნავს იმას, რომ კანონები ადგილობრივ დაიწერება, ასეთი წყობილება მოგვაგონებს მეორე ნაირ წყობილებას—ფედერალიზმს. დასავლეთ ევროპაში არის ფედერატიული წყობილება. შემდეგ ლექტორი შეეხო მხოლოდ საქართველოს. ბ-ნი გვაზავა ამტკიცებდა, რომ კავკასიის ერებში ავტონომიის საკითხი პირველათ ქართველმა ხალხმა (?!) წამოაყენაო. ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის გადაწყვეტილება (?), თავად-აზნაურთა დადგენილებები ქუთაისსა და თფილისში, უკანასკნელათ, ჩვენი სამღვდელოების დადგენილება—საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა. ყველაფერი ეს (?) თურმე მოწმობს, რომ ქართველი ჭხალხი ავტონომიისთვის იბრძვის (?). თურმე ქართული პრესაც ერთხმათ ავტონომიას თხოულობს. უკანასკნელ, გლეხებიც (!) კი თხოულობენ ჩვენში ავტონომიას... ასეთია დარბაისელი ლექტორის საბუთები! შემდეგ ბ-ნი გვაზავა ამტკიცებდა, რომ ავტონომიის მიცემით რუსეთის მთლიანობა სრულებითაც არ ირღვევა. დასამტკიცებლათ მოყავს სხვა ქვეყნების მაგალითი. ბ-ნ გვაზავას იმის გეგმაც შეუდგენია, თუ რა ტიპის ავტონომია იქნება ქართველებისათვის საჭირო. ჯერ კანონმდებელი დაწესებულება საქართველოს „დუმა", აქედან აირჩევა მეორე დაწესებულება „უპრავა", ამათი მეთაური თვით ნამესტნიკი იქნება. შემდეგ ამისა უმაღლესი სამსაჯულო და მაღლა სეკრეტარიატი. ლექტორმა ბოლოს არ დაივიწყა არც საქართველოს ისტორია და თქვა, რომ საქართველოს ისტორიული უფლებაც აქვს მოითხოვოს ავტონომია.

ლექციის შემდეგ გაიმართა დებატები, ლექტორს უმთავრესათ შენიშნეს, რომ იგი ტყუილათ ფიქრობს, ვითომც საქართველოს ხალხს მოეთხოვოს ავტონომია. ქუთაისის ქალაქის გამგეობა, თავად-აზნაურთა დადგენილებები თფილისსა და ქუთაისში, სამღვდელოების ავტოკეფალია,—ყველაფერი ეს ხალხი არაა, ავტონომია მოცლილ ბურჟუა-ფეოდალების ოცნების ნაყოფია და მუშათა საქმისათვის დიდათ საზარალო.

შემდეგ წამოხტა მეორე ორატორი და იმის მტკიცება დაიწყო, რომ გურულ გლეხებმა ვითომც პირდაპირ მოითხოვა ავტონომია. ერთი ორატორი იმასაც ამტკიცებდა, რომ თავად-აზნაურობა მთელი ხალხის სურვილის გამომხატველიაო. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გაიძახოდენ: გლეხებს სრულიადაც არ უნდა დაეკითხოთო.

დასასრულ ერთმა ორატორმა ნათლათ დაუმტკიცა დამსწრეთ, რომ ავტონომიით და ნაციონალური საკითხით მხოლოდ ბურჟუაზიაა დაინტერესებული. ბურჟუაზიას ყველგან და ყოველთვის ნაციონალიზმი აქვრია პირზე და ეს თავისი აზრი ერცლათ დაასაბუთა, საზოგადოებამ ეს ორატორი ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა. მ.

## მუშათა ცხოვრებიდან

**მუშა და ცხენი.** ოტტო მადერის ლუდის ზავოდიდან ხაზეინის მიერ დათხოვნილ იქნა ერთი მუშა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ დღეს იმაზე მეტი საკვები მისცა ცხენს, რაც საზოგადო ნორმათ ქონდათ მიჩნეული.

**ბათუმის მუშათა შორის.** 6 მარტს ბათუმში სიდერის ქარხანა აფიცდა. ქარხნის გამგემ შემდეგი მოთხოვნილება წარუდგინა მუშებს: 9 საათის სამუშაო დღე, კვირაში სამ დღეს მუშაობა და სხ. გასულ წლებში ქარხანაში ყოველ დღე მუშაობდა 500—600 კაცი და დღეში ამზადებდა 2000 პანკას. ამ წელში მათი რიცხვი 240-მდე შეამცირეს, ასე რომ დღეში 1000 პანკას მეტს ვერ ამზადებენ. ქარხანაში ყველა ეროვნების მუშები მიიღეს: სომხები, ქართველები, რუსები და ბერძნები. უშრავლესობა სომხებია.

**სახერხავ მანქანების მუშათა გაჭირვება.** ყველა იმ შეგირდობას აღწერა, რომელიც ზოგერთ სახერხავ ქარხანაში მუშებს აღგას, შორს წაგვიყვანს. ვიტყვით მხოლოდ, რომ მათი მდგომარეობა სწორეთ აუტანელია, და ამ ქამათ შეთხვევას უურადღებას განსაკუთრებით იმაზე მოვაქცევთ, რომ მუშებს იმ თრიოდე გროშის აღებაც კი, რომელიც მათი შრომის მკაცდ ღირებულებას ძლივს თუ შეადგენს, ვერ მოუხერხებიათ თავის დროზე და რამოდენიმე კვირაობით და ხშირათ თვეობითაც სამოწყალოთ ხელგაშვერილნი ელოდებიან ქირის მიღებას.

**საქონლის სადგურის მუშათა მდგომარეობა.** თფილისის საქონლის სადგურის მუშებმა თავიანთი მეტარი და ხანგრძლივი ბრძოლით ბევრი გაუმჯობესება მოიპოვეს: ცხრა საათის სამუშაო დღე, ამხანაგების მიღების და დათხოვნის უფლება, კვირა-უქმე დღის თავისუფლება, უფასო ქამობა, წელიწადში ერთი თვის თავისუფლება ჯამაგირ გამოურიცხველათ და სხვა... მაგრამ ყველა ამან თქვენ შორი წილით რეაქციის გამარჯვებასთან ერთათ. ცხრა საათის სამუშაო დღის მაგივრათ უკვე თორმეტი და მეტიც დაწესეს. ჯამაგირს ურიცხვენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა არა თუ ერთი თვის, არამედ რამდენიმე დღის თავისუფლებას აძლევენ. კვირა-უქმე დღე დასვენებას აბა ვინღა გამოიტანს. რაც შეეხება ამხანაგების დათხოვნა-მიღების უფლებას საქმარისაა, ალა-პატრონს არ მოეწონოს შენი ცხვირი, რომ მედიდურათ გზა გაგიკვლიოს თითით. თუ დასძრახ ენა, ვაი შენს ტყავს!.. ჟანდარმი და მისი ჯანი!.. თუმცა „ალა-პატრონებთან ერთად არც გუშინდელი ზოგიერთი ვითომ და „ამხანაგები" აკლებენ ხელს. ამ ვაჭპატრონებმა „დროსთან" ერთად თვითონაც ფრონტი იცვალეს, თავისი უსინდისო და ხულიგანური მოქმედებით ცდილობენ „პატრონების" მომადლიერებას და, რაც შეიძლება, ერთგულათ ემსახურებიან, ჩარხის უკუღმა ტრიალში... მაგრამ დიდხანს შერჩებათ კი ამ ვაჭპატრონებს ასეთი თავგასულობა?!

**ნოქრების გაფიცვა.** ჯერ კიდევ წარსულ ზაფხულში გაფიცდნენ ნოქრები მ. ი. მარტირუზოვს. დიდხანს ჯიუტობდა ეს ვაჭპატრონი და მოთხოვნებს არ უკმაყოფილებდა მათ. ამაში მას დიდათ ხელს უწყობდა მძვინვარე რეაქცია. მაგრამ ოქტომბრის გაფიცვამ გაარღვია რეაქცია და მარტირუზოვსაც თავი მოიხარა: მან მოლაპარაკება გამართა გაფიცულებთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მარტირუზოვმა ისარგებლა ნოქრების ერთობის უქონლობით და გაფიცულების აღაგს სხვები მიიღო—უფრო შეგნებულები. მოლაპარაკება გაჭიანურდა სხვა და სხვა მიზეზების გამო. გაფიცულები დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ—უფრო ცოლ-შვილიანები. ამათ მიმართეს ნოქრების ორგანიზაციას რ. ს. დ. მ. პ.-სას, რომელმაც კანონიერათ ცნო გაფიცულების მოთხოვნები და თავისი წარმომადგენელი გაგზავნა მარტირუზოვთან მოსალაპარაკებლათ. წარმომადგენელს დაუხვდა ცოლი მარტირუზოვისა და მკვახეთ უთხრა: თქვენ, ყმაწვილო, არ დაგვაიწყდეთ, რომ სამხედრო წესებაა; თუ თავს არ დაგვანებებთ, ყველას დაგაჭერინებთო. ამის პასუხათ ორგანიზაციამ ახალი ნოქრების გაფიცვა მოახდინა, ეჭვი არ არის, რომ ეს ახალი გაფიცულები მედგრათ დაუჭერენ მხარს თავის წინათ გაფიცულ ამხანაგებს და ამით დაამტკიცებენ თავის კლასობრივ სოლიდარობას და შეგნებას.

სხვათა შორის მარტირუზოვებმა მოითხოვეს მედიატორული სამართალი, რომელიც მოწვეული იყო, მაგრამ როგორც კი დაატყეს საქმე გაფიცულების სასარგებლოთ გათავდებათ, მაშინვე უარი თქვეს სამართალზე; ამ საქმეში ნოქრებს მათ ორგანიზაციასთან ერთად მხარს უჭერდა დაშნაკცუტიუნის ორგანიზაცია.

# დ ე პ ე შ ე ბ ი

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მარტი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს ამორჩევლებათ ბირჟის კომიტეტებიდან არჩეულია: ყაზანიდან—ქალაქის საბჭოს ხმოსანი ლეინითმოვაჰრე ვარაკსინი, ნოვოროსიისკიდან—ცემენტის ზაოდის დირექტორი ლიეენი. ლოძიდან—ალებმიმცემლებიდან ინჟინერი სტრუევსკი, ვაჭრებიდან—ბუნების მეტყველების დოქტორი კონიცი, ორივე პარტიის გარეშე, ლოძის ვაჭრობის და მანუფაქტურის კომიტეტიდან—ინჟინერი გერტი, ზომიერი ლიბერალი. სარატოვის ბირჟის კომიტეტმა კანდიდატათ დაასახელა ყოფილი ქალაქის თავი ნემიროვსკი, 17 ოქტომბ. კავშირის წევრი, და ინჟინერი დობროვოლსკი, კადეტი. სამხედრო საოლქო სასამართლომ პეტერბურგის სახელმწიფო კასის განყოფილების დაცემისთვის ჟოხოვს, კალმიკოვს, სიმიონოვს, ტრეტიაკოვს და კუბიცკის ჩამოხრჩობა მიუსაჯა, ბუროვს კი 20 წლის კატორღა. ჟოხოვის, კუბიცკის და კალმიკოვის შესახებ შუამდგომლობაა აღძრული სასჯელის შემსუბუქებისათვის.

**სტარიცა.** წვრილ მემამულეების სიეზდზე

აირჩიეს 17 ოქტომ. კავშირის მომხრე პომეშჩიკი და სამი გლეხი. სამაზრო და გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი გააშავეს, ამასთანავე პროფესორი დეორობერტი. ქალაქის სიეზდმა აირჩია 17 ოქტომბრის კავშირის მომხრე ვაჭარი.

**სოლიგალიჩი**. მსხვილ მემამულეების სიეზდმა აირჩია ვაჭარი და აზნაური, ორივე 17 ოქტომბრის კავშირის მომხრე.

**ყაზანი**. რწმუნებულების არჩევნები გუბერნიაში 46 დაწესებულებიდან 27-ში მოხდა. მონაწილეობა მიიღო 3,800 კაცმა, აირჩიეს 30 კაცი. ოთხი დაწესებულებაში მუშებმა არჩევნებზე უარი განაცხადეს.

**კრიანსკი**. წვრილ მემამულეების სიეზდზე აირჩიეს 12 მღვდელი და დიაკონი, 2 გლეხი. სოფ. ხპარკში 3 მღ. აირჩიეს.

**ტვერი**. რკინის გზის სახელოსნოებში და ფაბრიკებში აირჩიეს 46 რწმუნებული. 45 დაწესებულებიდან არჩევნებზე უარი განაცხადეს. 2—ტვერის მაზრის საერობო მიწათა მფლობელების სიეზდზე აირჩიეს დანიშნულებისამებრ ყოფილი ვუბერნიის საბჭოს წევრი კონსერვატორი ტრუბნიპოვი.

**დონის-როსტოვი**. კაგოლნიცკის სტანიცაში აირჩიეს რწმუნებულათ ჩინოვნიკი და ურიადნიკი.

**უსტსისოლსკი**. მიწათამფლობელობის სიეზდზე აირჩიეს ვაჭარი, საერობო უფროსი და შთამამავლობით მოქალაქე.

**ლიპეცკი**. ქალაქის ამომრჩევლებმა აირჩიეს მიწათმფლობელი ორი ვაჭარი, ქალაქის სამმართველოს მდივანი, უკანასკნელი კადეტია.

**ბელგოროდი**. ვოლოსტის ყრილობაზე აირჩიეს 28 გლეხი, ამათ შორის ვოლოსტის მამასახლისი, ყველა ზომიერი მიმართულებისაა.

**კამიშინი**. ვერხნე და ბრინკის წვრილ მიწათამფლობელების სიეზდზე აირჩიეს 15 ზომიერ-პროგრესისტები გლეხი, გააშავეს 3 მღ. და საერობო უფროსი.

**ორენბურგი**. მუშათა რწმუნებულების არჩევნებმა ყოველგან მშვიდობიანათ ჩაიარა. აირჩიეს საუკეთესო პირები. 65 მსხვილ დაწესებულებიდან 4 დაწესებულებაში არჩევნები არ მომხდარა.

**რიბინსკი**. გლეხთა რწმუნებულების სიეზდზე აირჩიეს ორი გლეხი პროგრესიული მიმართულებისა.

**კორაჩი**. წვრილ მიწათმფლობელების სიეზდზე 35,000-დან გამოცხადდა მხოლოდ ას თერთმეტი კაცი. აირჩიეს თავად-აზ. წინამძღოლი, საერობო უფროსი, საბჭოს წევრი, 3 მღვდელი, 8 გლეხი.

**მელექსი**. ქალაქის სიეზდმა აირჩია ქალაქის თავი და ბანკის დირექტორი. წვრილ მემამულეებმა აირჩია 30 გლეხი და მღვდელი.

**კოსტრომა**. ქალაქის ამომრჩევლების სიეზდმა აირჩია 4 კადეტი და ერთი 17 ოქტომბრის კავშირის მომხრე.

**პეტერბურგი**. გაზეთების სიტყვით სახელმწიფო საბჭომ დაადგინა ხაზინიდან 8 მილიონი მან. 35 წლის ვადით, 4 პროცენტით, 1910 წლით მიეცეს დაზარალებულ მემამულეებს. სესხს გუბერნიებში გაანაწილებს მიწათ-მოქმედების თავმჯდომარეობის განსაკუთრებული საბჭო. მაზრებში გუბერნიის საკრებულო. თვითოულ პირის შემწეობას განსაზღვრავს მაზრის საკრებულო.

**მოგილიოვი**. წინანასწარ სიეზდზე მოგილიოვის მაზრაში აირჩიეს 17 რწმუნებული. როგაჩევის მაზრაში—4 აზნაური, 6 მღვდელი, ქსენძი, 9 მეშჩანინი, 39 გლეხი.

**მედინი**. მედინის და მიატლევის წინასწარ სიეზდზე აირჩიეს 5 მღ., 15 გლეხი, 3 მეშჩანინი. უმრავლესობა ზომიერი პროგრესისტია.

**იარენსკი**. მიწათმფლობელების სიეზდზე აირჩიეს მღვდელი კადეტების პარტიისა.

**კუნგური**. მემამულეების სიეზდზე აირჩიეს ყოფილი ჩინოვნიკი, 2 მღ., 5 გლეხი, მსხვილი ქარხნებიდან 4 რწმუნებული, ყველა კონსერვატორებია.

**ვლადიმირი**. გუბერნიის წვრილ მიწათმფლობელთა სიეზდზე აირჩიეს ვლადიმირის მაზრაში—თერთმეტი მღ., 21 გლეხი, ორი აზნაური და ვაჭარი. გოროხოვეცკის მაზრაში 3 მღ., 6 გლეხი, 2 აზნაური, ქალაქის თავი, მეშჩანის სტაროსტი. იურიევის მაზრაში—27 მღ., საერობო უფროსი, შიკისკის მაზრაში—მღ., ორი ვაჭარი, 11 გლეხი და მეშჩანინი.

**რიგა**. ბუნესის ფაბრიკის მუშის ბინაზე ვიღაც ორი უცნობი მივიდა და რევოლვერის სამჯერ გასროლით მოკლის. ფიქრობენ შურისძიებაა ჩვენებისთვის.

**პარიჟი**. (ჰავასი) დეპუტატების პალატის უმრავლესობამ 464 წინააღმდეგ 45 მიიღო სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი.

**პეტერბურგი**. „რუსკოე გოსუდარსტვო“ იტყობინება, რომ ამ უკანასკნელ ხანებში სახელმწიფო შემნახველ კასსაში ბევრს შეაქვს შესანახათ ფულები. 80 მილიონამდის შიშიანობის დროს გატანილი ფული უკანვე შემოიტანეს. სინოდმა დაადგინა, რომ სახელმწიფო დუმის და საბჭოს არჩევის დროს იმპერიის ყველა საკათედრო ეკლესიებში მოლენი იქნება გადახდილი. 13 მარტს „რუსკოე გოსუდარსტვოში“ დაიბეჭდება შმიდტის საბრალდებულო ოქმი.

**ხარკოვი**. კურსკო-ხარკოვო-სევასტოპოლის რკინის გზის სად. ალექსანდროვსკზე მატარებელი ლიანდაგს ასცდა. 5 ვაგონი დაიმსხვრა, 20 მგზავრი დაშავდა. გაზეთი „ბუდუშჩეე“ დახურეს, გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ გადასწყვიტა ხელმწიფეს გაუგზავნოს დეპეშა ერთგულების შესახებ, ტამბოვის თავად-აზნაურთა რწმუნებულის თავად ჩელკაცკის წინადადება მოსკოვში სრულიად რუსეთის თავად-აზნაურთა სიეზდის მოწვევის შესახებ დღევანდელ მდგომარეობის გამოსარკვევათ, მიიღეს. სიეზდმა აირჩია ოთხივე აზნაური, სამი მათგანი მემარჯვენეა, ერთი კი ცენტრის მომხრე.

**ვლადიმირ-გუბერსკი**. პერიასლავსკის, სუდზანსკის, იურიევის, ვიაზნოკავსკის, ალექსანდროვსკის და შუისის მაზრების რწმუნებულებათ აირჩიეს 125 გლეხი სამოცი მოხელე და ათი მუშა.

**მოსკოვი**. ვერეისკის მაზრაში საგუბერნიო ამომრჩევლათ ვოლოსტებიდან რწმუნებულებათ აირჩიეს ვოლოსტის მამასახლისი, დიმიტროვის მაზრაში—გლეხი, კლინსაში—ვოლოსტის მამასახლისი, პოდოლსკისაში—გლეხი, სერპუხოვისაში—მემამულის მმართველი.

**პეტერბურგი**. მოსკოვში ბანკის გამძარცველების აღმოსაჩენათ პეტერბურგიდან გაგზავნეს საიდუმლო პოლიციის უფროსი ფილიპოვი, 8 პოლიციის დეპარტამენტის აგენტი და ვარშავის საიდუმლო პოლიციის აგენტები. დიდი პრემიით გაბრიყვებული საზღვარ გარეთის მრავალი აგენტები შრომას არ იზარებენ. ამსტერდამის საიდუმლო პალატის უფროსი მოვიდა, რომელიც გოლანდიის საიდუმლო პოლიციის მეფეთ ითვლება. აპრილის პირველ რიცხვებში სრულიად რუსეთის კრიმიალისტთა სიეზდი მოხდება პეტერბურგში.

**იაროსლავი**. ქალაქის სიეზდზე აირჩიეს კონსტ.-დემოკ. ექიმი.

**კოვნო**. კოვენის მაზრის ამომრჩევლების არჩევნები შესდგა. აირჩიეს ორი ლიტოველი—კათოლიკური პარტიისა.

**რიგა**. მოსკოვიდან მოსულ მატარებელში დაიჭირეს ორი ახალგაზდა, რომლებსაც ყალბი პაშპორტები აღმოაჩნდა; ფიქრობენ ესენი მონაწილე უნდა იყვენ მოსკოვის საურთიერთო ბანკის გაძარცვაში.

**ვლადივასტოკი**. ერთ ფორტში დაიჭირეს ორი იაპონელი იაპონიის ფორტიდან, რომელთაც აღმოაჩნდა უბის წიგნში ფორტის პლანი.

**დონის როსტოვი**. სახელმწიფო დუმის რწმუნებულთა არჩევნები თერგის ოლქის სტანიცებში ცუდათ ჩაიარა, ვინაიდან აუარებელი საჩივარი შემოტანეს.

**რეჟიცა**. ქალაქის მიყრუებულ ალაგზე, დვორიანის ქუჩაზე პოლიციამ საიდუმლო სტამბა აღმოაჩინა, ორი ფინლიანდიელი ებრაელი მიიმალა.

**ვარშავა**. პოლიციამ არა ლეგალური ლიტერატურის, რევოლვერების და პატრონების, წითელი დროშების საწყობი რევოლიუციური სიტყვების წარწერით და საიდუმლო სტამბა აღმოაჩინა.

**ტამბოვი**. ლუჟენოვსკის მკვლელს სპირიდონოვის ქალს სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა. სასამართლომ განაჩენი კონფირმაციას წარუდგინა და სასჯელის შემსუბუქება სთხოვა.

**რიგა**. მაუზერის და ბრაუნინგის სისტემის რევოლვერებით შეიარაღებულმა 8 კაცმა ათ ვერსზე რიგიდან მივიდენ ვოლოსტის სამმართველოში, ურიადნიკს და მწერალს იარაღი წაართვეს, ხელმწიფის სურათი, ვოლოსტის წიგნები და სახაზინო ქონება დასწვეს.

**პეტერბურგი**. სიმფეროპოლის თავად-აზნაურობამ სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლებათ აირჩია სადოვსკი 17 ოქტ. კავშ. წევრი, ივანენკოვი—უკიდურესი მემარჯვენე, ხეტყის ბირჟის კომიტეტმა მინსკში—კონს.-დემოკ. პარლიუბანსკი, ვლადინოვის ბირჟამ—ფაბრიკანტი მერკულოვი. სახელმწიფო დუმის ამომრჩევლებათ ელეცში აირჩიეს 21 წვრილი მემამულე, ამათ შორის 9 მღვდ., აზნაური, დანარჩენი გლეხები—უმრავლესობა კონსერვატორებია. უფაში—7 აზნაური, 2 ვაჭარი. გლეხი და მღვდელი, ექვსი ამათგანი კონს.-დემ. პარტ.. დანარჩენები კონსტ.-მონარქისტები. ბორისოგლებში ქალაქის სიეზდზე აირჩიეს ამრჩევლებათ ექიმი მასლოვსკი, ნოტარიუსი დოლგოვი—პროგრესიული მიმართულების; წვრილ მემამულეების სიეზდზე სარდობსკში—13 მღვდ., ბეითალი და სამი გლეხი. ხარკოვში მემამულების სიეზდზე—7 მღ., გუბერნიის საერობო სამმართველოს წევრი, საერობო უფროსი, გლეხი—ყველა უკიდურესი მემარცხენე!

**ბელასტოკი**. წვრილ მემამულეების სიეზდზე აირჩიეს 5 პოლონელი, ქსენძი, 4 მემამულე, ვილნოში ტროკსკის მაზრაში მიწათმფლობელების სიეზდზე აირჩიეს 4 კადეტი, გლეხი და 14 აზნაური. კადნიკოვში ვოლოსტის სიეზდზე—ვოლოსტის მამასახლისი, მწერალი და ორი გლეხი; ელისავეტგრადში ამომრჩეველმა ებრაელებმა გადაწყვიტეს ხალხის თავისუფლების პარტიას ხმა მისცეს.

**რიგა**. დღეს კატლიკანში ვოლოსტის სამმართველოს დაცემისთვის ვოლოსტს 3000 მ. შეაწერეს.

**პეტერბურგი**. ცარსკოე სელოში რამდენიმე გუბერნიის გლეხთა დეპუტაცია წარუდგა ხელმწიფეს, ხელმწიფემ კეთილ ინება და მიმართა დეპუტაციას შემდეგი სიტყვებით: „ფრიად მოხარული ვარ, რომ თქვენ გხედავ, გარდაეცით ჩემი უგულითადესი მადლობა იმათ, ვინც თქვენ ადრესის მორთმევა დაგავალათ. გარდაეცით აგრეთვე ჩემი სიტყვები, რომ ყოველგვარი საკუთრება ხელუხლებელია და ხალხი მდიდრდება მხოლოდ შრომით, რა წოდებასაც არ ეკუთვნოდეს იგი მისი ქონება შეუხებელია. ჩემდა სამწუხაროდ მრავალ სოფლებში გლეხებმა არეულობა მოახდინეს, შეეხენ სხვის საკუთრებას და გაანადგურეს ყველაფერი. დარწმუნებული ვარ მომავალში ასეთი არაფერი გამეორდება. გარდაეცით აგრეთვე, რომ ვინც ასეთ ძალმომრეობას ჩაიდენს, არა მარტო სასტიკათ დაისჯება, არამედ მიწის ყიდვის დროს საგლეხო ბანკიდანაც არაფერი მიეცემა. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიაც ისეთი ჩემი ერთგულნი იქნებით, როგორიც იყო თქვენი მამაპაპანი“.

**ბელგრადი**. მთავრობამ რწმუნებულათ სავაჭრო ხელშეკრულობის მოსალაპარაკებლათ რუსეთსა და სერბიის შორის, აირჩია მონოპოლიის დეპარტამენტის დირექტორი მილოშევიჩი.

**ქრისტიანია**. არხანგელსკში კონსულათ სახელმწიფო საბჭომ დანიშნა ფალსები.

**პეტერბურგი**. მაგილიოვის გუბერნიაში მეტისლავსკის მაზრაში წვრილ მემამულეების სიეზდზე აირჩიეს 7 მღვდ. 49 მემამულე, სიჩევკაში—2 აზნ., 3. მღვდ., მეშჩანინი და 19 გლეხი, ბაბრუისკის მაზრაში, მინის გუბერნიაში—4 ხუცესი, 195 წვრილი მესაკუთრე, თითქმის ყველა გლეხები,—იაროსლავში გლეხი ზომიერი მიმართულებისა, ლუგაში 2 გლეხი, ამათ რიცხვში ერთი არტელჩიკი. მიშკინში ქალაქის ამრჩევლებში დაასახელეს საერობო სამმართველოს თავმჯდომარე მაზრაში—საოლქო სასამართლოს წევრი და მეშჩანების სტაროსტა, ყველა 17 ოქტ. პარტიისა, რომანოვში, ბორისოგლებსკში, იაროსლავის გუბერნიაში აირჩიეს სამმართველოს თავმჯდომარე კადეტების პარტიის, ტამბოვში მემამულეებმა აირჩიეს მორშანის მაზრაში თავად-აზნაურთა წინამძღოლი, მაზრის წინამძღოლი, აზნაური, გუბერნიის სამმართველოს წევრი, საპატიო მოქალაქე, ვაჭარი და ხუცესი, შაცკის მაზრაში თავად-აზ. წინამძღოლი, გუბერნიის სამმართველოს წევრი, მაზრის სამმართველოს თავმჯდომარე, სამი აზნაური, ლებედინში—თავად-აზნაურების წინამძღოლი და ხუცესი

**ყაზანი**. ქანდრების სამმართველოს ესროლეს ყუმბარა, აფეთქებამ საქმის ქაღალდების შკაფი დაამსხვრია. არავინ დაშავებულა, დამნაშავე მიიმალა.

**იაროსლავლი**. გუშინ სად. სემიბრატოვეზე 40 ვერსის მანძილზე ორი საქონლის მატარებელი ერთი მეორეს დაეჯახა. 9 ვაგონი დაიმსხვრა, ორი მსუბუქათ დაშავებულია.

**პეტერბურგი**, სავაჭრო სამინისტროს თავმჯდომარეობით შედგა საბჭო მინისტრის წინადადების განსახილველათ, თუ როგორი არჩევნები უნდა იქნეს სავაჭრო-სამრეწველო კლასებიდან. პირველი კრება 17 მარტს ექნებათ. სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლებათ სავაჭრო და მანუფაქტურის საბჭომ პეტერბურგში აირჩია გლეზმერი, პალი, რიბკინი და კაპუსტინი, ქუთაისის თავად-აზნაურობამ თავადი მიქელაძე და ერისთავი, ტულის, თავად-აზ.—მასალოვი, დოლინინი და ივანოვსკი, კონსერვატ. პარტიის, ორენბურგის ბირჟის კომიტეტმა ლივენი ზავოდის დირექტორი, კონსერვატორი, სარატოვის ბირჟის კომიტეტმა—ნემიროვსკი, 17 ოქტ. კავ. წევრი და დობროვოლსკი, კადეტი, რეველის ბირჟამ—დეგგო კადეტი, ლიბავის ბირჟამ—ინჟინერი ფრეიბუში, აღებმიცემობიდან კანცელსონი, ებრაელი, ვაჭრებიდან.

**ვარშავა**. [illegible] სადგურის ახლო ბრბო თავს დაესხა დრეზინით მიმავალ პრივისლიანის გზის კასსირს, რომელიც დასჭრეს და 8000 მ. წაართვეს. ეს ფულები მოსამსახურეების ჯამაგირი იყო.

**მოსკოვი**. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში დაიჭირეს ორი, რომელიც მოსამსახურემ გამძარცველებს მიამსგავსა. დაიჭირეს მესამეც, რომელსაც პირადათ მოლაპარაკება თავმჯდომარესთან სურდა. ბევრმა ბანკების მოსამსახურეებმა და მეარტელებმა შეიარაღებაზე უარი განაცხადეს. მეარტელების სტაროსტა ამის შესახებ ბჭობას მართავს. სახელმწიფო დუმის არჩევნები ქალაქს 200,000 დაუჯდა. მინისტრთა საბჭომ 23 აპრილისთვის საზოგადო არჩევნები დანიშნა.

**რიგა**. რომანოვის ქუჩაზე პოლიციამ დიდძალი არა-ლეგალური ლიტერატურის საწყობი აღმოაჩინა. წიგნების საკაზმავ სახელოსნოში ნახეს ექვსი ყუთი პროკლამაცია და ერთ ფუთამდე შრიფტი. სახელოსნოს პატრონი და სამი უცნობი პირი დაპატიმრეს.

**პეტერბურგი**. შლისელბურგის და ალექსანდროვის უბნის წინასწარ სიეზდზე პეტერბურგის მაზრის მემამულეებში 857 ამომრჩევლებთა შორის მხოლოდ 102 კაცი გამოცხადდა. აირჩიეს 34 ვაჭარი, 6 მეშჩანინი, უმრავლესობა არჩეულებში პარტიის გარეშეა.

**ვარშავა**. „ვარშავის კურიერის“ მიერ გაგზავნილი კორესპოდენტები გლეხების არჩევნებზე, ვლაცლავსკის მაზრაში, ამბობენ, რომ არჩევნები მშვიდობიანად მიდის.

**ელისავეტგრადი**. საზოგადოებამ შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ არჩევნების დღე შესცვალონ, ვინაიდან 4 აპრილი ებრაელთა პასექია და ამ დღეს ისინი არც სწერენ და არც მიდი-მოდიან, რის გამო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

**ნოვოჩერკასი**. ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე კაზაკი ბელოვის, რომელიც ოლქის ატამან ბერლანდის მექრთამეობის ბრალს დებდა. ბერლანდიმ ბელოვს ცილის წამება უჩივლა. 80 მოწმე იყო, მოწვეული, უმრავლესობა ამტკიცებდა ბელოვის საჩივრის სინამდვილეს. ნაფიც მსაჯულებმა ბელოვი გაამართლა. მიწათმფლობელების სიეზდზე ახტირის მაზრაში (ხარკოვის გუბერნია) აირჩიეს 28 გლეხი, 3 აზ., და სამი ხუცესი, სპასკის მაზრაში—4 გლეხი. არჩევნების სიეზდზე გააშავეს.

**ბელგოროდი**. აირჩიეს ქალაქის თავი, გიმნაზიის მასწავლებელი, სამღვთოსჯულის მასწავლებელი და რკინის გზის მემანქანე, ყველა პროგრესისტებია.

**ეკატერინოსლავი**. გუბერნიის ყოფილი წინამძღოლი კარპოვი გუბერნიიდან გადაასახლეს.

**კალუგა**. წვრილ მემამულეების სიეზდზე აირჩიეს სამი აზნაური, 7 გლეხი, 2 ჩინოვნიკი, 3 მეშჩანინი, 9 გლეხი.

**ალეშკი**. დნეპროვის მაზრის მემამულეების სეზდზე აირჩიეს 2 საერობო სამმართველოს წევრი, ფაბრიკანტი, 7 ხუცესი, ერთი ვაჭარი, მეშჩანინი, ახალშენელი, 36 გლეხი.

**კრომი**. აირჩიეს თერთმეტი გლეხი, 8 მღვდ., 4 მამასახლისი.

**ნოზირი**. აირჩიეს 6 მეშჩანინი, 3 აზნ., 6 გლეხი.

**შენკურსკი**. 17 ვოლოსტში აირჩიეს ექვსი კონსერვატორი, ერთი კადეტი.

**მოსკოვი**. 41 დაწესებულებაში რწმუნებულების არჩევნები მოხდა. აირჩიეს 46 მუშა.

**პერმი**. ხალხის თავისუფლების პარტიამ დუმის კანდიდატათ „პერმსკის კრაის“ რედაქტორი ბასკინი და საერობო ექიმი ივანოვი დაასახელა.

**ოსტროვი**. ვოლოსტის რწმუნებულებმა განსაკუთრებით წვრილი მემამულეები აირჩიეს, ამათ შორის 22 პარტიის გარეშე.

**გომელი**. ორლოვის ბანკის განყოფილებიდან ყალბი წერილით მიიღეს 64000 მან.

**მოსკოვი**. ვოლოსტების რწმუნებულებათ ბრონიცკის მაზრაში აირჩიეს ვოლოსტის მამასახლისი და მისსიონერის თანაშემწე, რუსსკის მაზრიდან—მეეტლე, კოლომენსკიდან—ვაჭარი და ვოლოკოლამსკიდან—მიწის მუშა.

**მაგილევი**. პოტისლავსკის მაზრის კრებაზე აირჩიეს 7 მღვდელი და 49 მემამულე. კობანოვის და ორშანსკის მაზრაში 26 რწმუნებული აირჩიეს.

**იალტა**. წვრილ მემამულეთა კრებაზე 8 რუსი აირჩიეს და 88 თათარი, ნოვოალექსანდროვსკში—98 ქსენძი, 16 მღვდელი, 2 აზნაური, 30 გლეხი, 50 მეშჩანინი მათ რიცხვში 16 სტაროობრიადცები.

**ჩიტა**. ზოგიერთ გაზეთების ცნობა გენერალ რენენკამპფის მოქმედების შესახებ ტყუილია. დღემდე სასამართლოს განაჩენით 18 კაცი დასაჯეს სიკვდილით. რენენკამპფი ადმინისტრატიულათ 5 თვის მეტს არ აწყვდევს სატუსაღოში. სუდის განჩინებას გენერალ გორედკოვს უგზავნიან გასახილველათ.

**ბერლინი**. იმპერატრიცამ შვილითურთ ხელმეორეთ ინახულა მხატვარ ბორისოვის სურათების გამოფენა. რუსეთის სამხედრო აგენტმა ტატიშჩევმა იმპერატორთან ისადილა. კეთილშობილთა პალატამ მოითხოვა უსათუოთ ყურადღება მიაქციონ უნივერსიტეტებში და პოლიტეხნიკუმში უცხოელების მიღებაზე. რადგან ზოგიერთი სტუდენტები პოლიტიკურათ არა კეთილ საიმედონი არიან. სარწმუნოების მინისტრმა უპასუხა, რომ სამოსწავლო მთავრობამ კარგათ შეასრულა სტუდენტების გაცოცხვა ინგლისის უნივერსიტეტებიდან, და შვეიცარიისა და საფრანგეთისკენ გაისტუმრა. უმთავრესი ყურადღება რუს სტუდენტებს უნდა მიექცეს, ინგლისელითა, სკანდინაველთა და ზოგიერთ სამხრეთ-სლავიანთა სტუდენტების მიღება სასურველია პოლიტიკური მოსაზრებითო,

(რუსეთის სააგენტო).

11 მარტი

**პეტერბურგი**. „ნაშა ჟიზნი“ იტყობინება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ყველა გუბერნატორებს 9 მარტს დეპეშით აცნობა, რომ უკეთუ არჩევნები რაიმე მიზეზების გამო არ შესდგება, ხელმეორეთ დანიშნოს.

ბერლინის ბანკირი მენდელსონი იტყობინება, რომ ამ ჟამათ ის რუსეთის მთავრობასთან არავითარ ოპერაციას არ დაიჭერს, სანამ ალჟერისის კონფერენცია არ გათავდება, ამასთანავე მენდელსონმა შეგვატყობინა, რომ თუ კონფერენცია მშვიდობიანათ გათავდა, მაშინ ის აიღებს თავის თავზე ინიციატივას ბერლინის და საფრანგეთის კაპიტალისტებიდან სინდიკატების შესადგენათ, ერთი მილიარდი ფრანკის შინაგან სესხის ასაღებათ.

**სიმფეროპოლი**. ფეოდოსიაში ბოროტგამზრახველებმა ღამით სინაგოგაში შევიდნენ და თორმეტი მანტია მოიპარეს. [illegible] კარები დალეწეს.

**მიტავა**. ტუკუმში გუშინ სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა ბისენენკს, რომელსაც ექიმი კატეფელდის მოკვლა ბრალდებოდა.

**სიმფეროპოლი**. ზარავი როზენშტეინის კანტორას გუშინ შეიარაღებული ანარქისტები დაეცენ, წაიღეს ორასი მანეთი და მიიმალენ.

**ვარშავა**. ციტადელში დახვრიტეს ტალბანსკი, რომელსაც სამხედრო საოლქო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა პობიანში პოლიციელის მოკვლისათვის. კაროლევის ქუჩაზე პოლიციამ აღმოაჩინა არალეგალური ლიტერატურის საწყობი, ნახეს ასი ფუთი ლიტერატურა.

**რიაზანი**. ბოგოსლოვის მონასტერი გაძარცვეს. წაიღეს ყუთი 33,800 მ. პროცენტიანი ქაღალდებით. რამდენი მანეთი ნაღდი ფული წაიღეს არ იციან. ბოროტგამზრახველები არ აღმოუჩენიათ.

**სამარა**. არყის სახდელი სახელმწიფო ზავოდი იწვის.

**ირკუტსკი**. ზაბაიკალის გზის უფროსი ხვეტნიცკი სამსახურიდან დაითხოვეს.

**პეტერბურგი**. მოსკოვის განყოფილების ვაჭარ. ა საბჭომ სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლათ აირჩია ყოფილი ვაჭრობის მინისტრი ტიმირიაზევი და თავმჯდომარე მოსკოვის განყოფილების წევრი ვაჭრობა-მრეწველობის პარტიის ისაულინსკი.

**ვარშავა**. პრივისლიანის რკინის გზის კასსირი, რომელსაც 8000 მ. მიქონდა სოფ. ვოლიაში დასჭრეს და გაძარცვეს.

**მოსკოვი**. საიდუმლო პოლიცია ენერგიულათ მუშაობს ბანკის გამძარცველების აღმოსაჩენათ; ეჭვებით ბევრი აღმოაჩინეს, მაგრამ ხელმოსაკიდებელი კი არავინ.

12 მარტი

**პეტერბურგი**. „რუსი“ გადმოგვცემს, რომ გელსინგფორსში ცნობა მიიღეს, რომ მაზათ პეტერბურგიდან უნდა წავიდეს ოთხი სამხედრო მატარებელი; ორი გელსინგფორსში და ორი ქ. აბოში.

**ლიეჟი**. ლიეჟის რაიონის ქვა-ნახშირის მუშები გაფიცვას აპირებენ თუ ხელფასი არ მოუმატეს.

**ვენა**. „ნოვ-ფრეიე-პრესე“ იტყობინება, რომ ბალონში ფინლიანდიელმა მწერალმა კარლოს გუსტავ ლარსენმა რკინის გზით მოგზაურობის დროს უეცარი სიგიჟით თავის თავი დანით დაიჭრა მკერდში. ავათმყოფი საავათმყოფოში მიიყვანეს.

**ბელგრადი**. ამ დღეებში დაიწყება მოლაპარაკება რუსეთთან, საფრანგეთთან, ბელგიასთან, საბერძნეთთან, იტალიასთან და რუმინიასთან სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. მახარაძე**.

თფილისი, სტამბა კ. თავართქილაძისა, ელიზბარის ქუჩა, № 17.